

# საქართველო



საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი გამომდის ყოველ კვირა დღეს  
№ 2 ი ა ნ ვ ა რ ი 9 1900 წ. № 2

შინაარსი: ევროპის პოლიტიკური მოძრაობა მე-XIX საუკუნეში ნ. უორდანიასი.—სხვა-და-სხვა ამბები.—ყურნალ გაზეთებიდან—„კვალის“ კორესპონდენციები.—ქართული სცენის დღესასწაული სტუმრისა.—რუსეთი მე-XIX საუკუნეში ზ.სა.—სამხედრო ავტომობილი.—სახსოვრათ ლექსი კ. გოგოლაძისა.—საქართველოს შინაური ცხოვრება ფ. მანარაძისა.—ორმოც და ათი წელი ქართული თეატრისა ივ. გომარაძის.—შუბლის კანის ნამუბობი დ. თომაშვილისა და განცხადებები.

რედაქციის ადრესი: არტილერიის ქუჩა № 5,

## ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მაგულო განკის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მომავალ 1900 წელს იანვრისთვის ქვემო აღნიშნულ რიცხვებში დანიშნულია ბანკის სადგურში ქალაქ ქუთაისს ვაჭრობა, ბანკში დაკორავებულია უძრავთა-ქონებათა, რომელნიც დარჩენილნი არიან ბანკის საკუთრებათ, — ამ რიგით: 1) ქალაქისა და ქუთაისის მასრის მამულები 24 იანვარს; 2) შორაპნ ს მასრისა 25 იანვარს; 3) ოსურკეთის, სენაკის და ზუგდიდის მასრებისა 26 იანვარს; და 4) რაჭის და ლეჩხუმის მასრებისა 27 იანვარს.

ვრცელი ჰირობები ვაჭრობისა და საქმეები გასაუიდეოთ მამულთა მსურველებს შეუძლიანთ გაშინჯონ ბანკის კანცელარიაში უოველ დღეს, კარდა უქმე დღეებისა.

## ევროპის პოლიტიკური მოძრაობა მე-XIX საუკუნეში



ამბობენ ცხოვრება თავისივე წინააღმდეგობებით, თავისივე კრიტიკით ვითარდება. საზოგადოების პირველ ნაბიჯს უარპყრავს მეორე ნაბიჯი, მეორეს მესამე და ასე ბოლომდის. და თუ მთელი ამ გზის თავსა და ბოლოს გაეითვალისწინებთ, დავინახავთ, რომ მათ შორის აღარაეითარი მზგავსება აღარ არის, და არა თუ მზგავსება, პირიქით ერთი მეორის მოპირდაპირე და უარის მყოფელია. ასეთია ფილოსოფია ისტორიისა და ამასვე ეხედავთ ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებაშიაც.

FL 1160

საქართველოს  
პარლამენტის  
პროზესული  
ბიბლიოთეკა

ევროპის პოლიტიკური წყობილება მეცხრამეტე საუკუნის დამდგეს და მის დასარულს წარმოადგენს ორ სრულიად სხვა და სხვა სანაზაობას. ის რაც გაბატონებულია პირველ შემთხვევაში, აღარა ჩანს მეორეში, და ის რაც გაბატონებულია მეორეში, არა ჩანს პირველში.

ნაპოლეონის სამხედრო დიქტატურა საფრანგეთში, ბატონ-ყმურ-პოლიციური ძალ-მომხრება დანარჩენ სახელმწიფოებში (გარდა შვეიცარია-ინგლისისა) — აი ევროპა ათას რეაქსში,

რესპუბლიკა საფრანგეთში, პარლამენტარული წყობილება დანარჩენ სახელმწიფოებში — აი ევროპა ათას ცხრაასში.

მათ შორის ძვეს ერთი საუკუნე და ის შეიცავს ამ საარაკო გადასხეფერების, ამ ღრმა ცვლილების მთელ ისტორიას.

რაში მდგომარეობს ამ ისტორიის ძირითადი მსვლელობა? რა ნაირათ მოცილდა ევროპა ძველ ნაპირს და მოადგა ახალს? როგორ იწარმოვა ამ განახლების პროცესმა?

დაბადება მეცხრამეტე საუკუნისა და დამარხება დიდი რევოლიუციისა თითქმის ერთ და იმავე დროს მოხდა. საფრანგეთის ხალხმა იმიტომ დაღწა ძველი წყობილება, გააძევა ძველი მეფობა და დაამყარა რესპუბლიკა, რომ ცოტახანს შემდეგ მის სათავეში მოქცეულიყო უცნობი კორსიკელი აზნაური და თავზე სამეფო გვირგვინი დაედგა. ქვეყანას გამოეცხადა ნაპოლეონ პირველი, მეფე საფრანგეთისა, მეფე არა ჩამომავლობით, არა მოწყალებითა ლეთისათა, არამედ კენჭით, მოწყალებითა ხალხისათა. ის იმით განირჩეოდა ყველა ხალხის და ყველა დროის მეფეებისაგან, რომ მან უფროსობა ხალხისაგან მიიღო, ის შეეკითხა ერს, ნებას მომცემთ ხელმწიფეთ გაეხდეთ თუ არაო. ნაპოლეონი, ხალხის და მისი წარმომადგენელი სენატის მიერ ხელმწიფეთ აღსარებული, თავისი ძლევაშისილი ჯარით გადავიდა საზღვრებს და მოედგა მთელ ევროპას. სადაც კი ფეხს დაადგამდა ფრანგთა რაზმი, იქ უქმდებოდა ფეოდალური უფროსობა, ბატონ-ყმობა და მყარდებოდა ახალი ურთიერთობა. ნაპოლეონმა დაიმორჩილა თითქმის მთელი კონტინენტი და საფრანგეთის განმათავისუფლებელი იდეები ყოველგან მოჰქონა. ამ გარემოებამ გამოაფხიზლა დამორჩილებული ხალხები და ნაპოლეონის მიერ გაქედლი იარაღი იხმარეს ნაპოლეონის წინააღმდეგ. ის შეერთებულმა ევროპამ (რუსეთითურთ) დაამარცხა, განაძევა საფრანგეთიდან და მის ალაგას ბურბონთა ჩამომავალი ლუი მე XVIII გაამეფა. ევროპის პატარა და დანაწილებულმა ერებმა ახლა კი იგრძნეს თავისი არარობა და მოინდომეს გაძლიერება და ერთობა. ამით დაიწყო

ნაციონალური მოძრაობა, რაიცა დაბოლოვდა იტალიის აღდგენით, საბერძნეთის და სხვა ბალკანეთის ხალხთა გათავისუფლებით, ბოლოს გერმანიის გაერთიანებით და ავსტრიის ერთათვის თვითმართველობის მინიჭებით. მეორე მხრით, საფრანგეთის რევოლიუციონური მოძრაობა, დროებით დამარხული და მაგარ ჩარჩოში ჩამული, ისევ იწყებს თავის ჩვეულებრივ მსვლელობას და არყვეს კაცობრიობას. ლუი მე-XVI, ევროპის მიერ პარიზის ტახტზე აყვანილი, ტახტიდან გადაადგეს იმავე პარიჟელებმა (1815 წ.). აჯანყებულნი დასაჯეს იმით, რომ უარყოფილი მეფე ისევ მეფეთ დაუყენეს. მაგრამ არც აჰან გასჭრა, 1830 წლის რევოლიუციამ ხელახლა განაძევა მეფე, ამ ხანათ ლუის ძმა, კარლ მეათე და ეს იყო იმავე დროს მისი გვარის სამუდამო დამარცხება. ბურბონები მოშორდნენ საფრანგეთის ტახტს და მეფეთ შეიქნა ორლენანელთა ჩამომავალი ლუი ფილიპ. აქით დაიწყო „ბანკირთა უფროსობა“. ბურჟუაზიამ ახალი მეფე მხოლოდ თავის საფარათ იხმარა, რიმ მას, ვითომ და ქვეშევრდომს, უფრო სარგებლიანათ ეუფროსა. და მართლაც, არასოდეს საფრანგეთის კაპიტალისტები ისე არ გამძღავრებულან და გამდიდრებულან, როგორც ამ დროს. პარლამენტის უმრავლესობა და თვით მინისტრები გახდნენ რკინის გზის აქციონერები, რომელიც ხაზინის ხარჯით კეთდებოდა ე. ი. თითონ სცემდნენ კანონებს თავისსავე შესახებ. დეპუტატთა არჩევის უფლება მიეცა ერის შეძლებულ უმცირესობას, სულ 240,000 მოქალაქეს. ცხადია „იელისის მონარქია იყო ერთი აქციონერული კომპანია საფრანგეთის ნაციონალური სიმდიდრის საწარმოებლათ, რამლის დივიდენდი იყოფოდა მინისტრთ, დეპუტატებს და ამ ორას ორმოც ათას ამომრჩეველთა შორის“ (მარქსი). ზე აი ამ „კომპანიაში“ გაიხსმა უკედავი ფრაზა: enrichissez—vous, messieurs — გამდიდრდით, ბატონებო!.. გამდიდრება მათი — ეს იყო გაყვლეფა ხალხის და ამ ხალხმა ხმა აღიმაღლა თავის დასაცავათ. მუშათა არეულობა ლიონში (1831 წ.) — ეს გაყვლეფილი ხალხის არეულობაა საფრანგეთში. ხალხი, რომელიც მუდამ ბურჟუაზიის მომხრე იყო არეულობაში, მოშორდა ახლა მას და ბრძოლა გააუწყნადა. წინააღმდეგობა კლასობრივი ნათელი გახდა და აი აქედან იწყება ახალი ხანა ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ბურჟუაზია და მასთან ერთათ მთელი ხალხი ებრძოდა ძველ თავად-აზნაურულ წყობილებას. მარა როგორც კი იმათ გაიმარჯვეს, ბურჟუაზია ჩადგა დამარცხებულის ალაგას და შეიქნა ხალხის ბატონი. და რასაკვირველია, ხალხი მასაც უნდა შებრძოლებოდა. ლიონის მემამოხენი სასტიკათ დასაჯეს გაბატონებულმა ბანკირებმა. რამდენიმე ათასი კაცი დახვრეტილ იქმ-

ნა, მარა უკმაყოფილება ხალხში ამით არ მოსპობილა. პირიქით, რაც უფრო მდიდრდებოდა ახალი გაბატონებული კლასი, მით უფრო იყვლიფებოდა ხალხი და მაშასადამე უფრო ძლიერდებოდა უკმაყოფილობაც, და ეს არა მარტო მუშებში, არამედ გლეხებში, წერილ ბურჟუაზიაში და სხ. საშუალო შეძლების წრეებში. და აი, ამ დაგუბებულმა ალმა იფეთქა 1848 წ. თებერვლის არეულობაში. მთავრობა თავისი „ბურჟუაზიული“ ერთი დაკრით გადაადგეს. შედგა დროებითი მთავრობა, რომლის წევრები იყვენ სხვა-და სხვა კლასის წარმომადგენელი. ეს იყო კომპრომისის მთავრობა, სადაც ბურჟუაზიას, როგორც ყოველთვის, მეტი წარმომადგენელი და მეტი ხმა ჰქონდა. მთავრობამ არ იცოდა რა ექნა, დაწესებია ისევ მონარქია თუ შემოეღო რესპუბლიკა. და, როცა ამ ყოყმანში და ერთმანერთ შორის ბრძოლაში იყო, მუშათა მეთაური რაფაელი შევიდა საბჭოში და იქ შეკრებილ მთავრობას გამოუცხადა: ორასი ათასი პროლეტარი გითვლით, თუ ორი საათის განმავლობაში რესპუბლიკას არ შემოიღებთ, ჩვენ თვითონ მოვალთ და შემოვიღებთო. ბურჟუაზია შეწუხდა, ორასი ათასი შეიარღვეული მუშა საბჭოში—ეს ბურჟუაზიული მთავრობის გაუქმება და მუშათა მთავრობის დაწესება. და ორი საათი არ იყო გავლილი, რომ პარიზის ყველა კედლებზე გაკრულ იქმნა: Republique française—საფრანგეთის რესპუბლიკა!

საფრანგეთში რესპუბლიკა—აი რა ხმა გაეარდა მთელ ევროპაში და ყოველგან მოძრაობაში მოიყვანა ხალხი. ბერლინი, ვენა, მილანი, პრაგა მოიცვა რევოლიუციამ. ჩვენც გვინდა თავისუფლება—გაიძახოდნენ რევოლიუციონერები ევროპისა და თითქმის ყოველგან მიაღწიეს საწადელს. გერმანიაში, ავსტრიაში, იტალიაში და სხ. გაუქმდა ძველი მონარქია და შემოიღეს პარლამენტები; ხალხს ნება მიეცა დეპუტატთა არჩევის და კანონმდებლობაში მონაწილეობის მიღებისა. აქედან იწყება ევროპის სრული პოლიტიკური განახლება და მით ევროპიელთა გაფრანგება. დიდი რევოლიუცია, 1789 წ. მომხდარი საფრანგეთში, ძალაში შევიდა მხოლოდ 1848 წ. მთელ ევროპაში. რევოლიუციის პოლიტიკური მოწოდება შესრულებულ იქმნა. ამიერიდან ბრძოლა პოლიტიკურ ნიადაგზე სუსტდება და ის ერთიანად გადადის სოციალურ ნიადაგზე. ამ ორივე ნიადაგის მებაირალტრე იგივე დიდებული საფრანგეთია. მაშ მთავრდებოდა ისევ საფრანგეთს.

თებერვლის რესპუბლიკა—ეს არის რესპუბლიკა მუშებისა. პარიზის პროლეტარიატმა თავზე მოახეია რესპუბლიკა პარიზის ბურჟუაზიას და მით მთელ საფრანგეთს. მაშასადამე, იმას სხვა რამის შემოღებაც

შეძლებია და ეს მით უფრო მოსალოდნელი იყო, რამდენადაც მრეწველობის კრიზისის გამო, აუარებელი მუშა ხალხი დარჩა უსაქმოდ და პარიზის ბულვარებში—ამუშაო, უფლება სამუშაოზე!—გაიძახა. რანაირათ დაეკმაყოფილოთ მუშათა მოთხოვნილება—აი რა აწუხებდა მთავრობას. ამ დროს სცენაზე გამოდის ლუიბლანი თავისი ნაციონალური სახელოვნოებით და შეუდგება „პრაქტიკულ სოციალიზმის“ განხორციელებას. ეს ახალსოდის „სოციალიზმი“ მდგომარეობდა იმაში, რომ ორას ათას მუშისთვის მთავრობას უნებოდა და კანალები გაეკეთებინებია და მით სამუშაო მიეცა. მუშებმა ერთხანს თხარეს მიწა და იღეს ქირა. ხაზინა დაიცალა, მუშები თვითონ დაეჭედნ თავის „სოციალიზმში“, ხოლო მოწინააღმდეგეთ ხომ ეს სიცილათ არ ჰყოფნიდათ, აი შეხედეთ, რა ყოფილა სოციალიზმი, აი რა მუქთა ხარობისაყენ მიიღებინათ თურმე მუშებშიო. მთავრობამ აკვეთა მუშაობა და რომ უსაქმო ხალხი თავიდან მოეცილებია, უბრძანა პარიზიდან გასულიყო, პროვინციაში სამუშაოს მისაღებათ. იმათ არ ჰქნეს და ის იყო იენისში ძობდა დიდი აჯანყება. რესპუბლიკანური მთავრობა, შემოდებული მუშების მიერ, წინა აღუდგა მუშებს და თავისი 24 ბატალიონი ჯარით ქუჩებში მუშათა სისხლის ღერა ააყენა...

ბურჟუაზიამ გაიმარჯვა წინეთ ფეოდალებზე ხალხის შემწევობით! ბურჟუაზიამ გაიმარჯვა ახლა ხალხზე ჯარის შემწევობით!

ამ ორ ნაირმა გამარჯვებამ ნათელჰყო ის განხეთქილება რომელიც მის და ხალხს შორის მალულათ არსებობდა. ამას ზედ დაერთო ამ მდგომარეობის მ ცნებულათ გამორკვევა და ახსნა, ან ახალ ნიადაგზე ახალი მოძღვრების შექმნა და მუშა-ხალხში გავრცელება. და აი კიდევაც იწყება შეგნებული და სისტემატიური კლასთა ბრძოლა, რამაც 1870 წ. მესამეთ გადმოხეტქა პარიზის კომუნაში, აგრამ ავრთვე მესამეთ დამარცხებული, მოდის დღევანდლამდე. და ეს არა მარტო საფრანგეთში, არამედ მთელ დასავლეთ ევროპაში...

ამ ნაირათ დასავლეთ ევროპაში წამოყენებული კითხვა—ვინ უნდა მართოს ქვეყანა—გადაწყდა და გადაწყდა ხალხის სასარგებლოთ. ხალხის მიერ არჩეულთ გადაეცა ქვეყნის გამგეობა და ისინიც პარლამენტებში თავმოყრილნი ასრულებენ ამ მოვალეობას. მაშასადამე მეცხრამეტე საუკუნემ გადაჭრა კითხვა პოლიტიკური, აგრამ ამავე საუკუნემ, როგორც დაინახეთ, წამოაყენა კითხვა სოციალური, წარმოშობა ბატონობა კლასობრივი, დაბადა ბრძოლა ხელჩართული. და აი ამ კითხვის გადაწყვეტა წილათ ხელა მყოცე საუკუნეს. ამ საუკუნემ უნდა მიანიჭოს უმრავ-

ელესობას კეთილდღეობა ეკონომიური ისე, როგორც ძველმა საუკუნემ მიანიჭა მას კეთილდღეობა პოლიტიკური...

შეასრულებს ამას მეოცე საუკუნე? — qui vivra, verra—ვინც იცოცხლებს, დაინახავს!..

ნ. ჟორდანია.

სხვა-და-სხვა ამბავი.

ახალ წელიწად დღეს თფილისის ცხენის რკინის გზაზე ვაგონების მიმოსვლა არაუელ-დარეული იყო, დილის 9 საათამდის არც ერთი ვაგონი არ გამოსულა... ცხრა საათზე როგორც იყო გამოიყენეს ათიოდე ვაგონი, შემდეგ კიდევ მოუმატეს რამდენიმე, მაგრამ მინც საკმარისი არ იყო. მგზავრები ზოგ ალაგას ნახევარ საათს უცდიდნენ და ზოგს კიდევ ერთ საათსაც სანამ „კონკა“ ჩამოივლიდა და როცა კი გამოჩნდებოდა, იმდენი ხალხი დაეხეოდა, რომ ცხენები ვეღარ ინძრეოდნენ და კონდუქტორიც ბილეთების დარიგებას ვერ ახერხებდა. ერთი სიტყვით „კონკის“ საქმე სულ მთლათ აირ-დაირია, რომლის მიზეზი ზედ მოსამსახურეთა (მეეტლე და კონდუქტორი) სამუშაოს აკვეთა ყოფილა.

თფილისის პოლიცემისტერმა ბრძანება გასცა პოლიციის ბოქაულებისადმი, მიიღეთ ზომები, რომ „კონკაზე“ მომუშავე მეეტლეებს და კონდუქტორებს შეურაცხყოფა არ მიაყენონ მათმაცე სამსახურიდან დათხოვილმა ამხანაგებმაო.

1-ლ იანვარს, დილას 5 საათზე, მუშტიდის ვიწრო ქუჩაზე უწყსოება მოხდა, რომელსაც მხოლოდ 9 საათზე მოელო ბოლო. ცხენის რკინის გზის ადმინისტრაციასა და ამ გზის მეეტლე კონდუქტორთა შორის უთანხმოება ჩამოვარდა... ცხენის რკინის გზის სადგომთან შეკრებილიყო 200-მდე კონდუქტორი და მეეტლე, რამაც პოლიციის ჩარევა გამოიწვია. რამდენჯერმე განმეორებულ შეტაკების დროს დაიჭრა 6 მეეტლე და 5 პოლიციელი (უკანასკნელნი მსუბუქათ დაშადენ შეშებით, ჯოხებით და სხ.) მეეტლენი და კონდუქტორები ჯარის დახმარებით დატუსაღებულ იქნენ. მრავალი დაიშალა, მაგრამ 60 კაცი-კი სატუსაღოში გაგზავნეს. („კავ.“)

თფილისის ცხენის რკინის გზის მეეტლეთა და კონდუქტორთა სამუშაო დროს გაწესრიგების შესახებ რამდენჯერმე აღუძრავთ ლაპარაკი ადგილობრივ იებჭოში. ბელგიის საზოგადოებასთან ხელშეკრულო-

ბის განხილვის დროს რამდენსამე ხმოსანს წინადადება მიუცა ხოლმე საბჭოსთვის, რომ ამ ხელშეკრულობაში შეტანილი ყოფილიყო მუხლი „კონკის“ მოსამსახურეთა საუშაო დროს 10—12 საათამდე შემცირების შესახებ, მაგრამ საბჭომ ეს საგანი გადაუწყვეტელი დატოვა. ახლა ამ საქმემ ხელმოკრეთ იჩინა თავი, და მოსამსახურეთ თხოვეს სათანადო დაწესებულებას სამუშაო საათების რიცხვის შემცირება, რაკი ბელგიის საზოგადოება ქალაქის კონტრაგენტია „კონკის“ წარმოების საქმეში, ამის გამო თფილისის საბჭოს შეუძლია შეუდგეს ამ საქმის გაწესრიგებას. („თფ. ფურ.“)

ქართულ დრამატულ საზოგადოებს გამგეობამ იმ მრავალ პიესათა შორის, რომლებიც მას წარმოუგზავნეს საპრემიოთ, მხოლოდ ერთი იცნო პრემიის ღირსათ, საიელდობრ, „იანიჩარი“, 5 მოქმედებიანი ისტორიული (დრამა (ლექსათ) და მიუსაჯა მეორე პრემია, ასი მანეთი. პიესა მართლაც რომ საყურადღებოა და ჩვენ რეპერტუარში ის უეჭვილათ პირველ ალაგს დაიჭერს. ეა მით უფრო სასიხარულოა, რომ ავტორი, ბ. დავით გიორგის-ძე ნახუცრიშვილი, პირველათ გამოდის სალიტერატურო ასპარეზზე და იმედია მომავალში კიდევ უფრო კარგ და საუცხოვო ხელოვნურ ნაწარმოებთ შეგეძენს. აქ საკმარისია ითქვას, რომ „იანიჩარი“-სთანა დრამა ჩვენ მწერლობას არ მოეპოება. ვისურვებთ რომ ის ქართველ საზოგადოებას ამ სეზონშივე ენახოს სცენაზე.

ქუთაისიდან გვწერენ: აქაურმა საბჭომ ოც დეკემბერს შემდეგი გადაწყვეტილება მიიღო: კვირაობით და 12 საუფლო დღესასწაულებზე გაღებულ იქმნას მაღაზიები მხოლოდ 12 საათიდან 3 საათამდის. დანარჩენ დღესასწაულებზე კი 12 საათიდან 6 საათამდის.

ყურნალ-გაზეთებიდან. 1)

როგორ მიეგება ქართული ყურნალ-გაზეთობა საუკუნის ცვლილებას? რა უთხრა მან წარსულს და რა უწინასწარმეტყველა მომავალს? ამ კითხვების შესახებ ჯერ-ჯერობით ერთათ ერთმა „ივერიამ“ ამოიღო ხმა და ამოიღო სრულიად სხვანაირათ, ახლან-

1) ამ სათაურით ჩვენ „კვალის“ მკითხველთ გაგანებათ ჩვენი და უცხო ყურნალ-გაზეთებში წარმოთქმულ საუკუნისსმო საზრებს. ამით შექმლება ექნება მკითხველს „კვალთან“ ერთათ სხვა გამოცემებსაც თვალი ადევნოს.

დებულათ. თ. ილია ჭავჭავაძემ ერთი მთელი მეთა-  
ური შესწირა ამ საგანს, სადაც სხვათა შორის, ამ-  
ბობს:

„ამ მეცნიერებულ საუკუნეებში სოციალურის წყობილე-  
ბის იდეალთ გამოხატვა „გაუქმება ქონებისა და შუქისა-  
ლის მეტ-ნაკლებათ განაწილებისა და მისათა შორის, გა-  
უქმება ურველის კლასობრივის ბატონობისა და, შეძლე-  
ბისაშემდეგ, ურველის კლასობრივის სხვა-და-სხვაობისა,  
ფესხე წამოყენება და სელ-შეწყობა გამჭვირ და მშრო-  
მელ კლასების წარსამატებლათ“. ამ გზაზე წინა საუკუ-  
ნოებს ერთად იმოდენი აზრ უქმნიან-რას, რაც ამ ერთმა  
მეცნიერებულ საუკუნეებში ქმნა თვისდა პატავით მისასხენე-  
ბლად“.

„კიდევ ერთეული: წარსულმა საუკუნეებში თავისის  
მხრით ბევრი კეთილი შესძინა ადამიანს. სოციალ საკით-  
ხავი ეს აზრს: დღეს უფრო ბედნიერია გვცო, თუ არა  
ამოდენა სიკეთით გარემოცული და ესე წარმატებული  
ქცნებებით გადარსებული და გაძლიერებული? არა  
გვგონია. მართლად, დღეს ადამიანი ერთობ - ღარიბია,  
თუ მდიდარი — უფრო უკეთ აზრს მოწოდებდა, უფრო  
მეტად მისასხენებულა მისთვის წასვლა-წამოსვლა, ქვე-  
ყნიერობასთან გამოსამუშავება, ქვეყნიერობასთან უკეთი-  
ერთობის გაწევა; დღეს ადამიანი უფრო უკეთ იტყვის,  
ისუქამს, უკეთ სტამს და სუამს, მაგრამ ბედნიერება გი  
შორს აზრს. დღეს ღარიბსა და მდიდარს შორის, ძლი-  
ერსა და უძლურს შორის უფრო დიდი ზღვარი აზრს,  
გოდრე რადესმე უფროა და აქ აზრს იგი სიმწვავე იმ  
ტვირთისა, რომლის მოტყენაც მეცნიერებულ საუკუნეებში  
უანდერძა აწ მომავლს საუკუნეს. მეცნიერება, ადამიანის  
გონების წინ-სვლა, ხნობის აღმატება ჟერ ბევრ სხვას  
კიდევ ძლიერ-მოსილბობით მოაქმედებს, მაგრამ ამ მეც-  
ნიერებულ საუკუნეს ანდერძებუ უადრესს და უდადესს საგანს  
სხვას გვრას აღმოჩენის და არ გაუთავალისწინებს გაცობი-  
ობას დღეს ამას იქით“.

აი, ასეთია თ. ილია ჭავჭავაძის ახალი მიმარ-  
თულება, სწორეთ ის მიმართულება, რომელიც არა  
ერთხელ და ორჯელ ჩაუწინალავს მის ვაზეთს...

ამავე საგანზე სხვა ჩვენი გამოცემებისაგან არა ისმ-ს-  
რა. „ცნ.ფ.“ ჩვეულებრივით ვერას ამბობს; „მოამბე“  
და „კრებული“ ჩვეულებრივით აგვიანებენ გამოსე-  
ლას; „კავკასი“ გაჩუმების პოლოტიკას დაადგა, ხოლო  
„თფ. ფურც.“ აღტაცებულია „მე ვარ და ჩემი ნა-  
ბადიო“ და სხვა რამისთვის არა სცალია.

„კეგლის“ კორესპონდენციები.

ბათომი. ამას წინათ ბათომის ქართული სკო-  
ლის კომიტეტმა მოაწვია ამავე სკოლის დარბაზში  
წერა კითხვის გამეორცელებელ საზოგადოების ბათუ-  
მელი წევრები და მოახსენა, რომ სკოლა მატერი-

ალური მხრით გაჭირვებულ მდგომარეობაშიაო. ამგვარი  
არა სასურველ მდგომარეობისაგან სკოლის გამოსწავ-  
ნას კომიტეტის წევრები, ხედავდნ მოსწავლეებზე  
სწავლისათვის ფულის დადებაზე. მარა მოწვეული  
საზოგადოება წინააღუდგა ამ აზრს და თავის აზრის  
დასასაბუთებლათ მოჰყავდა შემდეგი, რომ საზოგა-  
დოთ ქართულ სკოლაში ღარიბთა შეილები სწა-  
ვლობენ და მათზე გადასახადის დადება მოსწავლეთა  
რიცხვის დაკლებას გამოიწვევსო. კრებამ დაადგინა:  
მიმართონ ქალაქის საბჭოს და თხოვონ სუბსიდი  
ქართული სკოლისათვის, იმ სკოლისათვის, რომელ-  
შიაც ყოველ-წლობით 160 მოსწავლე სწავლობს.  
ქალაქის საბჭო დიდი თანაგრძობით მიეგება ამ  
თხოვნას და ყოველ-წლობით 500 მანეთი გადაუწ-  
ყვიათ ქართულ სკოლას. მეორე დადგენილება კრე-  
ბისა, ე. ი. მიმართვა თხოვნით ურთიერთშორისნდო-  
ბის საზოგადოების მიმართ, ფულით დახმარების გა-  
წევაზე იმავე სკოლისათვის, ჯერ ამ საზოგადოების  
წევრებს არ განუხილავთ. იმედია ეს საზოგადოების  
წევრებიც ისეთ თანაგრძობას გამოიჩინენ, როგორც  
გამოიჩინეს ბმობნებმა რ მათ ღარიბ ქართულ სკოლას  
მატერიალურათ წინ წასწევნ. საზოგადოთ უნდა აღ-  
ენიშნოთ, რომ ეს სკოლა როგორც სწავლა-აღზრდის  
მხრით, ისე მატერიალურათაც წინ მიდის რ საზოგადო-  
ების თანაგრძობასაც, თან და თან იწვევს.

2 იანვარს ბათუმის ქართული სკენის მოყვარე-  
თაგან ქალაქის კლუბში 50 წლის საიუბილეო წარ-  
მოდგენა იქმნა დადგმულა. წარმოდგინეს „ვაყრა“  
ორი მოქმედება და „ქუნწი“. წარმოდგენამ რიგაანათ  
ჩაიარა. წარმოდგენის წინ ქართული სკოლას მასწა-  
ვლებელმა ბ-მამ იელიანე გოკოლაშვილმა, წაიკით-  
კითხა მოკლე ბიოგრაფია ქართული თეატრის და-  
მარსებელის გ. ერისთავისა. წარმოდგენას ნაკლე-  
ბათ დაესწრო საზოგადოება, მარა ამის მიზეზათ სა-  
ზოგადოების უთანაგრძობლობა ამ საქმისადმი არ  
უნდა ჩავთვალოთ. უნდა მივიღოთ მხედველობაში  
რომ წარმოდგენა კლუბში იყო, სადაც დაბალ ხალხს  
არ ეხერხება შესვლა და ამასთანავე ისიც, რომ  
რკარის თეატრში ამავე ღამეს გადასახლებულთა სა-  
სარგებლოთ თამაშობდნ. საჩალხო წარმოდგენებმა  
ამ ბოლოს და ბოლოს რაღაც მიზეზის გამო იკლო.  
იმედია ამ საქმისათვის მშრომელნი არ დაუგვიანებენ  
ხალხს იაფ-ფასიან წარმოდგენებს.

X.

ს. სურები. (ოზურგეთის მაზრა) არა ერთხელ  
წამიკითხავს კორესპონდენციებში ს. სურების შესა-  
ხებ, მაგრამ უმთავრეს მიზეზს, რომელიც ხელს უშ-  
ლის მის ეკონომიურ მოძრაობას, არც ერთი კორე-

სპოდენტი არ შეჰხებია. სანამ ამ მიზეზს შევეხებოდე ჩემ თავს ნებას მიეცემ გავაცნო მკითხველი, ამ სოფლის მდებარეობას. ს. სურები ძვეს ჯაბა ჩონატაურიდან ათი ვერსის მანძილზე; გაშენებულია მდინარე სუფსის იქით აქეთ ნაპირებზე, რომელსაც ამპარტაუნულათ დაკქერის გურია აქარის მთები. განიყოფება ეს სოფელი ორ ნაწილათ: ზემო და ქვემო სურებათ; ქვემო სურები შეიცავს 120 კომლ კაცს თითქმის ერთი გვარისას.

შენიერი ჰეა, თავისი დაბურული ხე ტყით, და კარგი ცივი ანკარა წყაროები, რომლებითაც მოკაზმულია ეს სოფელი, სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს ადამიანზე. ერთი სიტყვით, სურები დაჯილდოებულია ბუნებისაგან. ოცის წლის წინათ ეს სოფელი წარმოადგენდა თურმე ერთ უდაბურ ტყეს, სადაც მცხოვრებლები უმეტეს ნაწილათ თავის მოთხოვნილებას იკმაყოფილებდნენ ნანადირევით. ახლა კი ტყე ისე გაკაფულია რომ, ვგონებ ხუთი წლის შემდეგ შიშა ისე გაძვირდეს, როგორც ახლო მდებარე სოფლებში, მაგ. ციხეში და სხე.

უმეტეს ნაწილს მცხოვრებლებისას შეადგენს გლეხკაცობა; თუმცა აქა იქ ცხოვრობს ორიოდე აზნაური, მაგრამ ისინი ნაკლებათ აზნაურობენ და გლეხ კაცობასთან ერთათ ეწევიან უღელს. მათი ცხოვრების უმთავრეს სახსარს შეადგენს ხენათესეა. თესვენ სიმინდს, ღომს, ქერს, პურს, ქვეს და სხე. ჰკიდებენ ხელს აგრეთვე სხეა და სხვას დარგს მრეწველობისას: მებაბრეშუმეობას მევენახეობას, მეთუთუნეობას, მეფუტკრეობას, უმეტეს ნაწილათ ზემო სურებში. ღვინო მარტო ოდესა მოუღისთ. ყურძნის ჰაჭისაგან ამზადებენ არაყს, რასაც ცოტა შემოსავალი არ მოჰქონდა; მაგრამ რადგანაც ბაქს ყოველ წლობით უმატებენ, მცხოვრებლები იძულებული არიან ჰაჭა უსარგებლოთ გადაჰყაროს. რაც შეეხება მებაბრეშუმეობას, ეს კი ამ ჟამათ შეადგენს ერთ უმთავრეს დარგს მრეწველობისას და აძლეს ხალხს ნივთიერ წარმატებას. ჩვენში გზები საშინლათ არას გაფუჭებული, ზოგან კისერ სატეხი ხრამებია და ზოგან კი გაუფალი ტალახები, მაგრამ ვინ წუნს ამისთვის და ვის შეტკივა ამაზე გული? სრულებით არავის. და ეს უგზაობა სწორეთ უძლიერესი მიზეზთაგანია ჩვენი ეკონომიურათ დაქვეითებისა. ვადასახალი ქათმებით, კარგი ღვინით და თავისი მოწყობილობით, როგორც უწინ მებაბრეშუმეებს ვაძლევდით, ახლა ხომ აღარ არის, ახლა ჩვენთვის საჭიროა რომ ესენი ვაქციოთ ფულათ და ეს შეიძლება მაშინ, როდესაც გვექნება კარგი გზა და გავგვიადვილდება მისვლამოსელა. მიემართავ ბნ ქელბაქიანს, და ვთხოვ იკიროს ამ საქმეში მეთაურობა, შეასწორებოს გზები

ისე, რომ ურემს თავი უფლათ შეეძლოს მიმოსვლა დარწმუნებული ვარ, მცხოვრებნი სიამოვნებით გამოვლენ სამუშაოთ, თუ კი ვინმე გამოიყენათ მათ.

რან — ლს.

ბათუმი. დეკემბრის 19 ჩემი მონაწილეობით დადგმულ წარმოდგენისაგან შემოვიდა სულ 366 მ. 75 კ. აქედან დაიხარჯა: ტელეგრამებში გუბერნატორთან — 2 მ. 70 კ., ტელეგრამაში ქუთაისიდან ტანისამოსების დასაბარებლათ 1 მ., მუზიკის 15 მ. საპოლიციო ვადასახალი 3 მ., ტანისამოსების ქირა 10 მ. 30 კ., მარკების 24 მ. 61 კ., თეატრის ქირა 60 მ., აფიშების 7 მ., პარიკმახერის 5 მ., წვრილმანი ხარჯები 4 მ. 22 კ. სულ 132 მ. 73 კ. დარჩა 233 მ. 83 კ., რომელიც გადაეცემა ბიბლიოთეკის სასარგებლოთ ბიბლიოთეკის კომიტეტს.

2 იანვარს დადგმულ წარმოდგენისაგან შემოვიდა სულ 101 მ. 50 კ. დაიხარჯა: მარკების 7 მ. 42 კ., დარბაზის ქირა 35 მ., საპოლიციო ვადასახალი 3 მ., დეკორაციის გაწყობა 8 მ., მოსამსახურეებს 2 მ., ერთ სცენის მოყვარეს 10 მ., აფიშების 7 მ., პარიკმახერს 5 მ., ტელეგრამაში დრამატიულ საზოგადოებას ბათუმელ სცენის მოყვარეთაგან 60 კ. სულ 78 მ. 2 კ. დარჩა 23 მ. 48 კ., რომელიც გადაეცემა ბიბლიოთეკისათვის ბიბლიოთეკის კომიტეტს.

ახლა სოფლისმშენებელი-მკვლამისა.

ქართული სცენის დღესასწაული.

ახალი საუკუნის 2 იანვარი შესანიშნავი დღე იყო ქართველი ერისათვის: ამ დღეს შეუსრულდა 50 წელი ჩვენ თეატრს, რომელსაც ჩვენ წინმსწავლელობაში დიდი ღვაწლი მიუძღვის. 12 1/2 საათზე ქართულ თეატრში ამ დღეს დანიშნული იყო დრამატიული საზოგადოების წევრთა სადღესასწაულო კრება, რასაც დიდძალი საზოგადოება დაესწრო. კრების დაწყებისათანავე დრამატიული საზოგადოების თავმჯდომარემ ბ. სულხანიშვილმა მოიხსენია სადღესასწაულო კრების მიზეზი და მოკლეთ განმარტა თეატრის მნიშვნელობა. საზოგადოებამ ფეხზე ადგომით სცა პატივი ჩვენი თეატრის მამათ მთავრის ხსოვნას. შემდეგ კრების თავმჯდომარეთ არჩეულ იქმნა კნ. ნ. დ. ჩოლაყაშვილისა.

ბ-ნმა პ. ა. ოპოჩინინმა რუსული სცენის სახელით მოულოცა კრებას ქართული თეატრის 50 წლის დღესასწაული და თავის მგრძნობიარე სიტყვაში აუხსნა საზოგადოებას თეატრის ინტერნაციონალური მნიშვნელობა. არტისტიულ საზოგადოების წარმომადგენელათ იყვენ: ვ. ვ. კარნოვიჩი, რომელ

ლმაც მიულოცა კრებას დღესასწაული, და გაიტე-  
ნოვი. ქალაქის თვითმმართველობიდან წარმომადგე-  
ნელათ იყო ვ. ნ. ჩერქეზიშვილი. შემდეგ წაიკითხა  
აღრესი ილ. ქაქვიძემ, როგორც „წერაკითხვის გა-  
მაგრეცვლებელი საზოგადოების“ თავმჯდომარემ. შემ-  
დეგ მიულოცეს კრებას სათავად-აზნაურო სკოლის  
ინსპექტორმა ე. ს. თა აიშვილმა ღ „მუამბის“ და „ცნო-  
ბის ფურცლის“ რედაქტორმა ა. მ. ჭყონიამ. სახალ-  
ხო თეატრის ქართული სცენის სექციიდან კრებას  
დაესწრო და აღრესი წაიკითხა ქ-ნმა მ. დემურიაძე.  
როდესაც სხვა და სხვა წარმომადგენლებმა მილოც-  
ვა გაათავეს, ნ. ა. ავალიშვილმა წაიკითხა „ქართუ-  
ლი თეატრის მოკლე ისტორიული მიმოხილვა“. ამას შემდეგ დრამატიული საზოგადოების გამგეობის  
წევრმა წაიკითხა მოხსენება, სადაც გააცნო დამსწ-  
რეთ საზოგადოების დაარსება, მისი მიზანი, რეპერ-  
ტუარი და სხვ. დასასრულ წაიკითხეს ბ-ნი პ. უმი-  
კაშვილის ვრცელი წერილი „ქართული თეატრი და  
ლიტერატურა“, და ამოიჩინეს საპატიო წევრებათ ორი  
ჩვენი დრამატურგი ბ-ნი აქ. ცაგარელი და გ. სუნ-  
დუკიანიცი, რომლებსაც ჩვენი სცენის წინაშე დიდი  
ღვაწლი მიუძღვისთ.

ამავე საღამოს დანიშნული იყო საღვთისა-  
წაულო წარმოდგენა. ითამაშეს გ. ერისთავის კო-  
მედია „გაყრა“ და შემდეგ დადგეს აპოთეოზი.  
თეატრი ლამაზათ იყო მართული. საზოგადოება  
დიდძალი დაესწრო, თეატრში ტყვა აღარ იყო, რის  
გამო ცოტა უწესრიგობა სუფევდა: ვინც მოასწრებ-  
და, ის ჯდებოდა სკამზე. უბილეთობისა გამო უკა-  
ნაც ბევრი დაბრუნდა. ჩვენი არტისტების სასახე-  
ლოთ უნდა აღენიშნოთ, რომ წარმოდგენა საუც-  
ხოვოთ ჩაატარეს: ყველამ კარგათ იცოდა თავისი  
როლი. დიდათ ასიამოვნა საზოგადოება ე. აბაშიძემ  
და ქ-ნმა გაბუნია-ცაგარელისამ. გედევანოვი ჩვეუ-  
ლებრივათ მოხდენილათ თამაშობდა, მაგრამ მეტათ  
კოპწიათ იყო ჩაცმული და ამიტომ უფრო „ფშუტს“  
მოგაგონებდათ ვიდრე მსახურ ვაბრიელს.

თუმცა გამოცხადებული იყო, აპოთეოზში ცხო-  
ველ სურათებათ წარმოსდგებიან: ეორონცოვი, ან-  
ტონოვი, დ. ერისთავი, ა. ყაზბეგი, დ. ყიფიანი და  
გ. ერისთავი, მაგრამ ცხოველი სურათები არ  
ყოფილა: შუაგულ სცენაზე დადგმული იყო გ.  
ერისთავის დიდი სურათი, რომელსაც ანათებდა  
გარშემო სხვა-და-სხვა ფერის ელექტრონის ლა-  
მპები; ერთ მხარეს იდგენ ჩვენი მსახიობნი, მეო-  
რე მხარეს ბ. ფალიაშვილის ხორო. ფარდის ახდისა-  
თანავე ხორომ საუცხოვოთ იმღერა „თამარის დრო-  
შა“, სიმღერის გამეორების შემდეგ სომხის არტის-  
ტების წარმომადგენელმა მგრძნობიარე სიტყვა წაი-

კითხა სომხურ ენაზე და გ. ერისთავის სურათი და-  
უნის გვირგვინით შეამკო. სიტყვის თარგმანი წაიკი-  
თხა გედევანიშვილმა. „ჩვენ ორივე ერსა გვაქვს ერო-  
ვნული სცენა, მაგრამ მისი გზა მოფენილია ეკლით,  
წინ მრავალი დაბრკოლება მოელისო, ამბობდა არ-  
ტისტი: ძმანო, ხელი-ხელ გადახვეული გავეშუროთ  
საერთო მიზნისაკენ და გადავლახოთ ეს დამაბრკო-  
ლებელი მიზეზებიო“. ამას შემდეგ პ. უმიკაშვილმა  
მიულოცა არტისტებს დღესასწაული, შემდეგ კ. ყი-  
ფიანმა წაიკითხა რამოდენიმე ტელეგრამა, კ. მესხმა  
დაასურათხატა ლექსებით ეორონცოვი, ანტონოვი,  
დ. ერისთავი, ყაზბეგი, დ. ყიფიანი და გ. ერისთავი.  
დასასრულ ფალიაშვილის ხორომ იმღერა „ბუბა  
ქაქუჩელა“, „გოგონა“ და „გადმოდულდი მარგალი-  
ტა“. ხორო ისე ლამაზათ მღეროდა, რომ საზოგა-  
დობამ ყოველი სიმღერა გაამეორებია. „გაყრის“  
შესახებ ჩვენ არას ვიტყვი. ამ კომედიას თავის დრო-  
ზე ჰქონდა მნიშვნელობა, დღეს კი მნიშვნელების  
მეტს ეერას შეძენს საზოგადოებას და, თუ წარმო-  
დგინეს, მხოლოთ იმ მიზნით, რომ მოგვანებიათ  
1850 წ. 2 იანვ. რი და პატივი ეცათ იმ პირისათვის,  
რომელმაც დაარსა ჩვენი თეატრი და შესძინა  
ჩვენ მწერლობას პირველი პიესა. ჩვენ მხოლოთ  
გვინდა მიეპატიოთ მკითხველისა და სცენის ყურად-  
ღება ბ. ოპოჩინინისა და სომეხი არტისტის სიტყვებს.  
ბ-ნმა ოპოჩინინმა საზოგადოებას აუხსნა თეატრის  
ინტერნაციონალური მნიშვნელობა და უსურვა ჩვენ  
სცენას, რომ ეს არ დაეიწყებოდეს და შეექმნას ისე-  
თი პიესები, რომლებიც თანაგრძნობას გამოიწვევენ  
სხვა ერთა შორისაცო. სამწუხაროთ ჩვენი სცენა  
ამ ვარემოებას ყოველთვის იეიწყებდა და ერთა შო-  
რის იმდენათ სიყვარულს არა თესავდა, რამდენათაც  
სიძულელილს. ძვირათ დაუწერია ჩვენ დრამატურგს  
კომედია, რომ შიგ სომეხი ან საცინათ არ აეგდას  
ან ხალხის მყელეფავათ არ გამოეყვანოს. ეერ ნახეთ  
ჩვენ დრამებში ისეთ ოსმალოს ან სპარსელს, რომ  
მასში რაიმე ადამიანური ღირსება მოიპოვებოდეს.  
შიეიძლება ჩვენი სცენა არა ცდებოდეს, ქეშმარიტე-  
ბას ხატედეს, მაგრამ, რაც უნდა იყოს, ეს ქეშმა-  
რიტება მეტათ ცალმხრივათ გამოჰყავს და იმ ბრძო-  
ლას, რომელიც ჩვენ ფეოდალებსა და სომეხთა  
ბურჟუაზიას შორის არსებობს, ცრუ ელფერს აძ-  
ლევს და უფრო ამწვავებს. ეუსურვებთ ჩვენ სცენას,  
რომ ეს ცალმარიგობა თავიდან აეცილებიოს, არ  
დაეეიწყებიოს, რომ ყოველ ერში ცუდ თვისებასთან  
ერთათ კარგიც არსებობს, ცუდთან კარგიც არ დაე-  
მალოს და ამით თეატრის ინტერნაციონალური მნი-  
შენელობა დაეცვას. სცენა მთელ ერს ეკუთენის და  
ამიტომ ის არ უნდა განდეს იარაღათ ერთი რომე-  
ლიმე პარტიის ან წოდების ხელში.

სტუმარი.

### რუსეთი მე-XIX საუკუნეში.

მეტეზრამეტე საუკუნემ მეცხრამეტეს უანდრძა მეტათ განვითარებული ბატონ-ყმური დამოკიდებულება. ეს დამოკიდებულება მართო მიწათ-მფლობელობაში როდი ყოფილა. საფუძვლათ დამმუშავე წარმოებას ეღვა იმგვარივე დამონებული შრომა. (ВОТЧИННЫЕ И ПО-СЕРСОННЫЕ) იმავე დროს, პერტესი და მისი მემკვიდრეების წყალობით, რუსეთმა უკვე შეტოპა სახალწთაშორისო გაცვლა-გამოცვლაში და მით დაუკავშირა თავისი მომავალი დასავლეთ-ევროპის ეკონომიურ და საზოგადო კულტურულ განვითარებას. სწორეთ ამაშია მთელი ისტორიული მნიშვნელობა პეტრე დიდის შესანიშნავი „უანჯრისა“. საქონლის წარმოების განვითარებამ, რომელიც აღმოცენდა საზოგადოებრივი შრომის განაწილებაზე, თან მოიტანა ის ნაყოფი, რომელმაც მომავალში რადიკალური ცვლილება მოახდინა რუსეთის ეკონომიურ და სოციალურ წყობილებაში.

19-საუკუნის პირველ ნახევარში შეუწყვეტლათ შენდებოდა ახალი წყობილების შემადგენელი ელემენტები.

მრავლდებოდა და იზრდებოდა ბატონ-ყმური სამანუფაქტურო წარმოება. მუშათა ხელი უფრო მეტი შეიქნა საჭირო. ამ დროს—მწარმოებელ-ვაჭრებს, რომელთაც მუქათ მუშას ვერ შოულაბდენ, ძლიერ უჭირდათ მათი მოპოება ქირითაც, რადგან აზნაურობა ამაირ განზრახვას ყოველთვის ეწინააღმდეგებოდა. ბრწყინვალე წოდებას თავის საკუთრებათ მიანდა ყმები და ამ უფლებას ასე ადვილათ სხვას არავის დაუთმობდა. ამიტომ გასაკვირველიც არ არის, რომ, რაც უფრო უჭირდათ მექარხნეებს მუშის მოპოება, მით უფრო შეუბრალებლათ წუწნიდენ მათ სისხლს, ამას ხელს უწყობდა აგრეთვე ის გარემოება, რომ მანუფაქტურა ემეტოქებოდა საშინაო მრეწველობას, რომელიც აზნაურობის მფარველობას ქვეშ იყო და ეს მეტოქეობა უფრო და უფრო ძლიერდებოდა.

ეს მომენტი შესანიშნავია იმით, რომ მან ხელი შეუწყო წარმოების ახალი მეთოდის გამოკვლევას. საჭირო იყო გაუმჯობესებული ტენხიკა, რაც ნიშნავდა უკეთესი ღირსების შრომას..

და აი ჩვენ წინ შესანიშნავი მოვლენა ხდება: მე-40 წლებში ვაჭრები—მექარხნეები ერთი მეორეზე უარს ამბობენ ყმის მფლობელობაზე და დასაქირავებელ შრომას იჩიევენ.

ამას თან დაერთო შემდეგი გარემოება: რადგან ბატონ-ყმობის დროს, დასაქირავებელი მუშების სიცოტავე უფრო საგონებელი იყო მექარხნეებისათვის,

ვიდრე წინეთ დამონაგებული შრომა, ცხადია, ძველი წყობილება უკვე მთლათ ერთიანათ ეწინააღმდეგებოდა მრეწველთა ინტერესებს.

ამაირი მოვლენა მიწათ მოქმედებაშიაც მოხდა, მხოლოდ მას სხვა ფერი ეღვა.

ჯერ ერთი—თავისუფალი შრომის უპირატესობა დამონაგებული შრომის წინაშე ცხადი შეიქნა მხოლოდ იმ შემამულეთათვის, რომელთაც მქიდროკავშირი ჰქონდათ ბაზართან. სხვა-და-სხვა გუბერნიებში ყმების მუშაობამ სრულიად ცხად ჰყო ეს მე-40 წლებში. ამაირათ გაბურჭუაზებული აზნაურობის თვალში ბატონ-ყმობას დაეკარგა ის მიმზიდველობა, რომელიც წინეთ ჰქონდა.

მეორე მხრით აზნაურობის ერთი ნაწილის, განსაკუთრებით ქალაქში მცხოვრების, დავალიანებას ასეთეე შედეგი მოჰქონდა. მეტის მეტ ფულის საჭიროებას ვერ აკმაყოფილებდა წინანდელი გადასახადის გაძლიერებაც კი, ამიტომ აზნაურობის ეს ნაწილი მზათ იყო ყოველნაირი პირობა მიელო, ოღონდ ღონისძიება მისცემოდა ვალის გადახდის და, საზოგადოთ, ფულის შოენის.

მხოლოდ შემამულეების უმეტესი ნაწილი, ნამეტურ მივარდნილ სოფლებში, რომელთაც თითქმის არავითარი კავშირი არ ჰქონდათ ქალაქთან და ბაზართან, ძლიერ ჩაჭიდებოდა თავის ძველებურ პრივილეგიებს და თავგამეტებული მომხრე იყო ბატონ-ყმობისა.

რაც შეეხება თვით გლეხობას, ესენი ხშირი აღვლევებით ეწინააღმდეგებოდენ ძველ უფელს და მოუთმენელათ ელოდენ რაიმე ცვლილებას.

ამის და მიხედვით საზოგადოების აზროვნებაც გაიყო ორ ბანაკათ: ლიბერალურათ (ბურჭუაზიული) და კონსერვატიულათ (ფეოდალური);

მთავრობა, ყირიმის ომს შემდეგ, დაუყონებლივ შეუდგა მომწიფებული რეფორმების შემოღებას. და აი, კიდევაც დაიბადა 61 წლის რეფორმა. ამაირათ ყველა დაინტერესებული ჯგუფები შეურიგდენ ახალ ცვლილებას. ამით ჩა-სა-სა საძირკველი თანამედროვე მრეწველობის და აღვამციკობის. აზნაურს, ბურჭუაზიას და მრეწველს მიეცა გაფართოებული წარმოების საშუალება დაქირავებული შრომით და დასასრულ გაკოტრებულმა აზნაურმა თავიდან მოიშორა თავმოპაბებზრებელი მოვალეები და ცოტა კიდევ წაიქეიფა.. ერობის, ქალაქის თვითმმართველობის და ახალი სამართლის დამკვიდრება ლოლიკური შედეგი იყო ემინსიპაციისა.

საზოგადოთ დიდი რეფორმების ხანამ გზა გაუკვალა ევროპიულ წარმოებას რუსეთში.

საქონლის წარმოებამ მთელი ეკონომიური რევილიუცია მოახდინა. რუსეთი თანდათან ვარდებო-

და მსოფლიო ბაზრის გაყვანას ქვეშ. როგორც სოკო ნაწიმიარზე, ისე იზრდებოდა ფაბრიკები და ზაფხულები. წარმოიშვა მსხვილი სამეურნეო ეკონომია; მეურნეობის რაციონალურათ წარმოება ხოლოთ დროს საკითხი და იყო. გაფუძვლებით აშენებდნ რკინის გზებს და ფარაოვდებოდა ბაზრის ტერიტორია. ბაზრის ფასების დაუდგრომლობამ გლახობა ორათ გაპყო: შეძლებულათ და ბოგანოთ. სამრწველო ცენტრებში მცხოვრელები მრავლდებოდნ, მრავლდებოდა აგრეთვე სასოფლო მეურნეობის მუშებიც, ერთი სიტყვით, მე-80 წლებში მეტათ სწრაფათ ვითარდებოდა ახალი წარმოება. მე-90 წლების მოუსაველობამ დაასრულა ეს პროცესი და აი დღევანდელი რუსეთი რა სურათს წარმოადგენს:

ერთი მხრით, გამრავლდა ახალი საზოგადოების ორი კლასი — კაპიტალისტები და მიწათ მფლობელები (რაციონალური მემამულენი), მეორე მხრით მეტათ დაეცა ბრწყინვალე წოდების მნიშვნელობა.

გლახობამ, როგორც ფეოდალური წყობილების წარმომადგენელმა, დაპყარვა ნიადაგი და მისი წოდებრივი განსხვავების კანონიერი მოსპობა მხოლოთ დროს საკითხია. სოფელი იძლევა ერთი მხრით ფულის პატრონთ, მეორე მხრით უფულოთ. ესენი ზოგი სოფელში რჩებიან და ზოგიც ქალაქებში მიემგზავრებიან.


რა რომ რუსეთის საზოგადოების ეკონომიური საფუძველი გამოიცვალა, მის იდეოლოგიურ ზედაშენშიაც მოხდა ცვლილება. ძველი საგლახო უტოპიზმმა მე 60 — 70 წლ., რომელშიაც გამოიხატებოდა ნატურალური მეურნეობის მესაკუთრის ინტერესები („ძველი გლახის“), გამოიღო ორი ნაყოფი: წერილი ბურჟუაზიული თანამედროვე ნაროდნიკობა უტოპიზმით (ა თანამედროვე სალი მიმართულება, რაიცა შეიცავს დაცვას ხალხის გადატაცებული ნაწილისას.

ეს უკანასკნელი მიმართულება რუსეთის მოწინავე საზოგადოებრივი აზროვნებისა, არის საუკეთესო განძი, რომელიც წარსულმა საუკუნემ უანდერძა ახალს.

ოქროსა და რკინის აბჯარში გამოწყობილი რუსეთი მე-19 საუკუნეში შეიქნა მოწინავე ევროპის ნამდვილი წევრი.

და აი, ასეთი გავეროპიელებული ეკონომიური წყობილებით გადავიდა რუსეთი მეცხრამეტე საუკუნეიდან მეოცეში...

—ბ.



სამხედრო ავტომობილი.

თუმცა ბევრ ჩვენგანს ასე ჰგონია, თ. თქოს ველოსიპედი მარტო სასიეროთა და თავის შესაქცევათ იყოს გამოსაყენი, მაგრამ დღეს მას ბევრგვარ სასარგებლო საქმეშიაც ხმარობენ. ადვილი წარმოსადგენია, რა ნიერთ უნდა იქანცებოდეს მეფოსტე, რომელიც მთელი დღე დადის და წერილებს ატარებს! ამერიკაში და საზღვარ გარეთ ახლა მეფოსტეები უმეტეს წილათ ველოსიპედებით დადიან. ველოსიპედი სამხედრო სამსახურშიაც შემოიღეს. ხუთი წელიწადი არც კი არის მას აქეთ, რაც შემოიღეს სამხედრო ველოსიპედები; რადგანაც ისინი ადვილი დასაკეცი არიან, ამიტომ ქვეითი ჯარის კაცები თავასუფლათ ატარებენ ზურგით და საკიროების დროს უცებ მოახტებიან ხოლომე ამ უსულო ცხენებს და გაქქულსავე სწრაფათ. ახლა ამასაც აღარ დაჯერდნ და ველოსიპედზე პატარა ზარბაზნიც მოათავსეს: ასე რომ ჯარი. კაცს, ერთსა და იმავე დროს, ჩქარი გაქცევაც შეუძლია და მტრის ხოცვაც. აი რა საზიზღარ საქმეს ასრულებიებენ იმ უბრალო მანქანას, რომელიც, ვინიცის, თავდაპირველათ მხოლოთ უსაქმური ადამიანის შესაქცევრათ იყო გამოგონილი! ზარბაზნიანი ველოსიპედი ანუ ავტომობილი ძალიან ჩქარა მიდის: პეტერბურღში გამოცადეს ნახევარ წლის წინეთ მისი სისწრაფე და 100 ვერსი 2 1/2 საათში გაიარა, თუმცა გზა ცუდი იყო. ასე სწრაფათ ხომ მატარებელიც ვერ დადის შევნიერ რკინის გზაზე. ეჭვს გარეშეა, სამხედრო ავტომობილები ძალიან გავრცელდებიან ჯარში და ერთმანეთის ხოცვისათვის ადამიანს თანდათან მეტი საშუალება ექნება! ერთ ამგვარ ზარბაზნიან ავტომობილს წარმოადგენს აქ დახატული სურათიც.

ს ა ხ ს ო ვ რ ა თ.

№

ნეტავ იმას, ვისიღ გულის  
სიმაღლისთვის უძებრია  
და ძლიერის, წმინდა ჭანგით  
ეს სიმაღლე უძებრია!

ნეტავ იმას, ვისიღ სისხლი  
ბოროტებს უძებრებია  
და იმასთან ბრძოლაშია  
თავის წილი უძებრია.

ნეტავ იმას ვინც ჩაგრულ გულს  
წმინდა ტყველი შეუკეთა,  
ხელ ძალაძოთ შემოედგა,  
გულს იმედი ჩაუწყია,  
სწორ გზასკდა დაუქნა,

მომავალი დანასტა,  
გამაგრა, ძალა მისცა,  
გაძლიერა და განასტა.

ნეტავ იმას, ვინც რაი კვლის  
გზასე შედგა საბრძოლველათ,  
და წინ მიდის, აღარ დრკება,  
იმ კვლევითან საბრძოლველათ!

აჩ შედგება ამ მხელ გზასა,  
ქედს აჩ ესის ბრძოლის შვილი,  
იქ წუგნია მას სიბრძნელე,  
იქვე სუფს მას სიკვდილი.

და კვლავ ვიტყვი: ნეტავ იმას!  
ნეტავ ამგვარ სიბრძნელესა;  
ამგვარ ბრძოლასა, ამგვარ სიკვდილსა,  
ამგვარ გულის სიწმინდელსა.

ბ. გოგოლაძე.


საქართველოს შინაური ცხოვრება  
მეცხრამეტე საუკუნეში.

დეკემბრის 22, 1800 წ. გარდაიცვალა ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე, გიორგი XII. 1801 წ. 18 იანვარს პეტერბურგში გამოქვეყნებულ იქმნა მანიფესტი ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთებაზე, რომელიც ჯერ კიდევ გიორგი XII სიკვდილამდის იყო ხელ მოწერილი იმპერატორ პავლე I მიერ. ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთების მანიფესტი თფილისის ეკლესიებში წაკითხულ იქმნა იმავე 1801 წ. 16-17 თებერვალს. აპრილის გასულს თფილისში მოვიდა კნორინგი და დააარსა დროებითი მთავრობა, რომელიც შედგებოდა რვა დიანბევისაგან, ლენ. ლა. ზარევის თავმჯდომარეობით. მხოლოდ რვა მაისს 1802 წ. რუსეთის მთხელეთა თანდასწრებით, ახალი მთავრობის ერთგულებაზე და ქვეშევრდომობაზე ფიცის ჩამორთმევას შემდეგ, მთავარ-სარდლის კნორინგის თავმჯდომარეობით გაიხსნა ქ. თფილისში ქართლ-კახეთის უმაღლესი მთავრობა (Верховное

Грузин. Правительство). ე. ი. 1810-11 წლებში რუსეთის მთავრობა არსდება იმერეთის ხანშეფოში და გურიის სამთავროში. ყველაზე უფრო გვიან რუსეთის მთავრობა დაარსდა აფხაზეთში და სამეგრელოში: პირველში 1864 წ. 12 ივლის, მეორეში 1867 წ. 4 იანვარს. აქამდის ეს სამთავროები იმყოფებოდნენ მხოლოდ რუსეთის მთავრობას ქვეშ, შინაური მართვა-გამგეობა კი ძველი იყო. ამ წერილის მიზანს სრულებით არ შეადგენს იმის მოთხრობა, თუ რა გარემოებაში ან რა წეს-რიგით დაფუძნდა საქართველოს სხვა და-სხვა ნაწილებში რუსეთის მთავრობა. ჩვენ გესურს თვალი გადავავლოთ ქართველი ხალხის შინაურ ცხოვრებას მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში. ამისთვის უწინარეს ყოვლისა საჭიროა, როგორც იმ მართვა-გამგეობის დახასიათება, რომელიც ჩვენში შემოღებული იქმნა რუსეთის მთავრობის მიერ, აგრეთვე იმისაც, რომელიც სამეფო წყობილობის დროს ჩვენში არსებობდა.

ნ. დუბროვინის წიგნში 1) მოყვანილია ერთი ფრაზა, რომელიც თ—დ აბაშიძეს უთქვამს ლაზარევისთვის უმაღლესი მთავრობის განხნის შემდეგ. აი ეს ფრაზა: „ასლა ჩვენ (ე. ი. თავად-აზნაურობა) ყველანი გათანასწორებული ვართ გლეხებთან“. თუმცა თავად-აზნაურობის გლეხებთან გათანასწორობა, არა თუ მაშინ შემდეგ ხანებშიაც მთავრობას ფიქრათაც არ მოსვლია, მაგრამ ჩვენ მაინც ვიტყვი, რომ თ—დ აბაშიძის სიტყვებში ცოტაოდენი სიმაღლე მაინც იხატებოდა.— ძველი საქართველოს შინაურ მართვა-გამგეობის საფუძველს შეადგენდა ფეოდალურ-ბ ტონ-ყმური წესწყობილება. ამ მართვა-გამგეობის ერთი ნიშნობლივი თვისება ის იყო, რომ ადმინისტრაციული და სამოსამართლო მხარე, სრულიად განუსხვლველი ერთი მეორისაგან, შეერთებული იყო ერთ და იმავე პირში. ეს პირი იყო იმავე დროს ფეოდალური ბატონი, რომელიც დამოუკიდებლათ სჯიდა და განაგებდა თავის ქვეშევრდომთ. მართალია სასამართლო საქმეებში იგი ვალდებული იყო ეხელმძღვანელა კანონმდებლობით, მაგ. მეთვრამეტე საუკუნეში ვახტანგ VI კანონებით, მაგრამ ამის ანგარიშს მას არავენ არ თხოვდა 2). როგორც მამულის მფლობელია გადადიოდა წემკვიდრეობით, რისთვისაც მხოლოდ სიგელის განახლება იყო საჭირო, ისე ამ მამულზე დასახლებულთა მართვა-გამგეობაც. მასასადამე თანამდებობა შემკვიდრეობით, სსვიდში იყო. შემკვიდრეობით გადადიოდა უმაღლესი სახელმწიფო თანამდებობანიც. ამნაირათ მამულის და ყმების მფლობელობა ბატონს იმავე დროს ადმინისტრატორის და მსაჯულის თანამდებობასაც ანიჭებდა. 3) აქედან წარმოდგა მეორე დამახასიათებელი თვისება

1) Закавказье отъ 1803—1806 г.г., გვ. 44  
2) განხით მხოლოდ სიკვდილით დასჯა — haute justice კეთსებოდა მეფეს.  
3) მეფე, მთავარი და საზოგადოთ შეძლებული ფეოდალები ამ თანამდებობას თავიანთ ძაოებს ანდაც.



მაშინდელი მართვა-გამგეობისა, ე. ი. ის, რომ ბატონის ვინაობაზე დამოკიდებული იყო თვით მართვა-გამგეობის ხასიათი. მაგ. მეფე სულ სხვანაირათ ასამართლებდა თავის ყმებს, ვინემ უბრალო ფეოდალი და ეკლესია, რომელიც მძლავრი ფეოდალური ბატონი იყო და რომელიც შეადგენდა თითქმის სახელმწიფოს სახელმწიფოში, კიდევ სულ სხვანაირათ განაგებდა თავის ყმების საქმეებს, — ერთი სიტყვით შინაურ მართვა-გამგეობაში იმ დროს არ არსებობდა ერთხანაზა. მართალია მეფეს ჰქონდა თავისი საბჭო — დივანი, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობდნენ ყველა ბატონიშვილები, უმაღლესი სამღვდლოება და ეგრეთ წოდებული დივან-ბეგები, მაგრამ ამ დაწესებულებას არაერთი დამოკიდებულება არ ჰქონდა ხალხის მართვა-გამგეობასთან. რაც შეეხება თვით კანონმდებლობას, ის დაფუძნებული იყო იმ დედა აზრზე, რომ კაცის მოკვლა, განვიბრება, მოტაცება და სხვა ამ გვარი მოქმედება დანაშაული როდი არის, არამედ ზიანის მიყენება კერძო პირისადმი. ამ ზიანის საწყაოთ მიღებული იყო სისხლის ფასი. ვახტანგის კანონით გლეხის სისხლი ღირდა 120 მან. მსახურის — 240 მან. და პირველი ხარისხის თავადის 15360 მ. ე. ი. პირველთან შედარებით 128 ჯერ მეტი. გარდა ამისა ვახტანგის კანონმდებლობა დამნაშავის აღმოსაჩენათ საქიროთ თელიდა ისეთ ბარბაროსულ საშუალებათა ხმარებას, როგორიც იყო წვალება მღვდლით და გახურებული რკინით, შანთით, ეგრეთ წოდებული ordalium-ით. წესი მართლმსაჯულების შესრულებისა იყო მარტივი, საქმე ირჩეოდა სიტყვიერათ და დაუყოვნებლივ.

რუსეთის მთავრობის დაფუძნებამ საქართველოში ბოლო მოუღო როგორც მართვა-გამგეობის წესრიგს, სისტემას, ისე ძველ კანონმდებლობასაც. პირველათ სისხლის სამართლის საქმეებში, ახალი მთავრობის დაფუძნებისთანავე, პრინციპიალურათ მოისპო თანამდებობის მემკვიდრეობით გადაცემა. მართვა-გამგეობას ცენტრალურ ორგანოების დაარსებით მიეცა ცოტათ თუ ბევრათ გაერთიანებული ხასიათი და რაც შეეხება თვით კანონმდებლობას და მართლმსაჯულების წარმოებას მანიფესტში ნათქვამი იყო: „საქართველოში სისხლის სამართლის საქმეები უნდა გაიჩინეს რუსეთის იმპერიის კანონებით და სამოქალაქო საქმეები კი საქართველოს ჩვეულების მიხედვით“. ყოველივე ეს ნიშნავდა საქართველოს მართვა-გამგეობის ძველი სისტემის ძირიანათ შეცვლას. ყველა თანამდებობის აღმასრულებელი მთავრობის მოხელე შეიქმნა: იგი ინიშნებოდა მთავრობის მიერ, ღებულობდა მისგან გადაწყვეტილ ჯამაგირს და ამიერიდან პირდაპირ მისგან იყო დამოკიდებული. ამასთანავე შემოღებული იქმნა სასტიკი იერარქიული დამოკიდებულება ერთი მხრით მაღალ და მდაბალ მოხელეთა და მეორე მხრით ცენტრალურ და პროვინციალურ დაწესებულებათა შორის.

ასეთი ცვლილება ბევრისთვის მოსაწონი არ იყო

ამიტომ, ამ წოდებებში დაარსდა თუ არა ახალი მთავრობა მაშინვე გაჩნდა მის წინააღმდეგ მოძრაობა, რომლის მიზანი ისევ ძველი წყობილების აღდგენა იყო და რომელიც ხშირათ არეულობით ბოლოვდებოდა ხოლმე. მთავრობა ჩქარა აქრობდა არეულობას, თუმცა ხშირათ ეს მას ძვირათ უჯდებოდა, და თანდათან ფეხს იკიდებდა. მაგრამ საქართველოს უშიშრათ და მშვიდობიანათ მფლობელობა თხოულობდა ერთი მხრით მოსპობას იმ სახანოებისას, რომლებიც საქართველოს გარს ეხვიენ და მეორე მხრით იმ წვრილ ხალხთა დამორჩილებას, რომლებიც უხსოვარ დროდან კავკასიის მთებში იყვენ შეზიზნულები და რომლებმაც არ იცოდენ, რა იყო უცხო ხალხის მორჩილება. ეს არ იყო ადვილი საქმე, მაგრამ იმათი რუსეთთან შეტაკება იმას ნიშნავდა, რომ მათი დამოუკიდებლობის აღსასრული მოსულიყო. ერთმა ნაწილმა ჩქარა დაჰყარა იარაღი და რუსეთს სრულიად დაემორჩილა (განჯის, ერევნის, ბაქოს შირვანის და სხვ. სახანოები). ხოლო მეორე ნაწილი, ე. ი. კავკასიის მთებში შეზიზნული ხალხი, დიდხანს არ იხრიდა ქედს რუსეთის წინაშე და უკანასკნელ სისხლის წვეთამდის ებრძოდა მას. ნახევარ საუკუნეზე მეტი მოუწინა მთავრობა ამ საქმეს, ეგრეთ წოდებული რუსეთის ომი კავკასიის ხალხებთან დასრულდა მხოლოდ 1864 წ.

მთელი ეს ხანა 64 წელიწადი შეადგენს რუსეთის მთავრობის გამაგრების და გაერცვლების პროცესს კავკასიაში, რასაც მიქცეული ჰქონდა მთავრობის უმთავრესი ყურადღება და მოუწინა აურაცხელი ხარჯი თუ ფულით, თუ კაცით. ადვილი გასაგებია, რომ ამ ხნის განმავლობაში სხვა ყოველგვარი საქმე ან სულ დაევიწყებული იყო; ან მეორე ხარისხზე იყო დაყენებული მთავრობა შეუდგა გადასახადის გაწესრიგების საქმეს 1837 წელს. და ხუთი წლის განმავლობაში შემუშავებული იქმნა გადასახადის ახალი სისტემა, რომელმაც გააუქმა გადასახადის ნაწარმოებით მოკრფვა, ე. ი. ამიერიდან ყოველგვარი სახელმწიფო გადასახადი ფულათ უნდა მოეკრიფათ. ამ ხნის საუკეთესო დროთ ითვლება ის წლები, როცა თ-დი ვორონცოვი კავკასიის ნამესტნიკათ იყო (1845 — 1854 წწ.). ამ ხანებში დაეტყო საზოგადოებრივ ცხოვრებას რაღაც ნაირი გამოფხიზლება, მაშინ გაძლიერდა აღებ-მიცემობა და ჩვენი თანამედროვე ლიტერატურის საძირკველიც მაშინ ჩაიყარა. მაგრამ ყოველივე ამაო იყო, სანამ ბატონ-ყმური ურთიერთობა არსებობდა.

ფ. მასადაქ.

(დასასრული)






ორმოც და ათი წელი ქართული თეატრისა.

II

ყოველგვარ დაწესებულებას მხოლოდ მაშინ შეუძლია შესაფერი სარგებლობის მოტანა, როცა ის პირდაპირი შედეგია საზოგადოებრივი წინმსვლელობისა, როცა ის საზოგადოების სულიერი მოთხოვნებით არის გამოწვეული, როცა საზოგადოებას შეგნებული აქვს მისი მნიშვნელობა. ჩვენში კი

დღესაც მხოლოდ მცირე ნაწილს აქვს ეროვნული თვითშეგნება იმდენათ განვითარებული, რომ საზოგადო კეთილდღეობისათვის იზრუნოს, ღირსეულათ დააფასოს, რა არის ჩვენთვის საზარალო, რა სასარგებლო. რადა უნდა ყოფილიყო ამ ორმოც და ათი წლის წინეთ? საზოგადოება ადამიანის დანიშნულებას ქეიფსა და ლოთობაში ხედავდა, არავითარი იდეალი არ ასულდგმულედა მის გულსა და გონებას, არავითარი მისწრაფება არ ჰქონდა მას

ა  
ბ  
გ  
დ  
ე  
ვ  
ზ  
თ  
ი  
კ  
ლ  
მ  
ნ  
ო  
პ  
ჟ  
რ  
ს  
ტ  
ც  
ძ  
წ  
ჭ  
ხ  
ყ  
შ  
ჩ  
ცხ  
ცვ  
ძვ  
წვ  
ჭვ  
ხვ  
ყვ  
შვ  
ჩვ  
ცხვ  
ცვვ  
ძხვ  
ძვვ  
წხვ  
წვვ  
ჭხვ  
ხვვ  
ყხვ  
შხვ  
ჩხვ  
ცხვ  
ცვვ  
ძხვ  
ძვვ  
წხვ  
წვვ  
ჭხვ  
ხვვ  
ყხვ  
შხვ  
ჩხვ




უკეთესი ცხოვრებისაკენ; ანკი საიდან ექნებოდა, როდესაც ის არ იყო იმდენათ განვითარებული, რომ ცხოვრების კითხვების რკვევა-კვლევით ემტერია თავი! მაშინ არა თუ თეატრით ხალხის გამოთხიზლება და გონებრივით და ზნეობრივით ამაღლება იყო ძნელი, არამედ თვით თეატრის დაარსებაც ყოველად შეუძლებელი იყო, რომ ვარაუცოვს არა; ეს ცხადათ დაამტკიცა ვარაუცოვის საქართველოდან გადაყვანამ. შეუძლებელი საქმე განხორციელდა: თეატრი დაარსდა,— მაგრამ საქმე იმაში იყო, როგორ უნდა მოეწვიათ საზოგადოება თეატრში, რა გზით უნდა შეეყვარებიათ მისთვის თეატრი, რომ ცალკერი სიამოვნების გარდა გულისა და გონებისთვისაც მიეცათ რაიმე საზარლო? საზოგადოებას ეძინა, მისი ცხოვრება უზნეო, უმიზნო, უშინაარსო იყო; უნდა დაენახებიათ მისთვის მისი ნაკლებეფანება, რომ

მას თითონ შეზღოვებოდა თავისი თავი და ძლიერი სურვილი დაბადებოდა თავისი ბუნებისა და თავისი ცხოვრების გასაუმჯობესებლათ, იტყვის ბევრი. ეს სრული ჭეშმარიტებაა მხოლოდ მაშინ, როცა კარგ მთქმელს კარგი გამგონი ჰყავს, ჭეშმარიტებაა მხოლოდ იქ, სადაც მართლის მთქმელს შეკავშული ცხენი არ ჰქირდება გასაქცევით აბა შინჯეთ და ჩვენ წარსულს, ჩვენ ლიტერატურას, ჩვენ მოღვაწეებს საზრიანათ შეხედეთ, კარგთან ცუდიც დაინახეთ, ექვი შეიტანეთ იმაში, ვითომ ქართველები ნაკით და დიდებული წარსულით ყველა ეროვნებას არა ეჯობდეთ, — მაშინვე სამშობლოს მოღალატე და სახანავენი! რალა უნდა ყოფილიყო ამ ორმოც და ათი წლის წინეთ? ჩვენ სცენას რომ დაენახებოდა საზოგადოებისათვის მაშინ მთელი მისი სისაძაგლე, არა თუ ვერაფერს ვერ გაასწორებდა, პირიქით ყველას გაღმტყრებდა; არა თუ თეატრს ვერაფერს შეაყვარებდა, პირიქით ყველას შეაძულედა. ამას კარგათ გრძობდა გ. ერისთავი და ამიტომ ყოველგვარ ღონეს ხმარობდა, რომ ქართველი საზოგადოებისათვის უფრო სიამოვნება შეეძინა პირველ ხანებში და ამით შეეყვარებოდა თეატრი, ვიდრე მისი საკუთარი ნაკულუევანებანი ემზილებოდა. მართალია, გიორგი ერისთავი თავის პირველ კომედიას ათავებს შემდეგი სიტყვებით: **მე დაუწყო ამას ჯდა, ვინც ზნეობათ არის მჭუჯი; ჩვენც ვეცადეთ, და განვადგინეთ, რაც არის ჩვენში ცუდი.**

მართალია, ის თავის კომედიებში შეეხა ჩვენი არისტოკრატიის ცხოვრების ზოგიერთ მანეთ და დამლუპველ ელემენტებს, მაგრამ ყოველივე ეს ისე გაქნა სახუმარო გასართობებში, ლათაიებში, ქართულ-სომხური ენის საოხუნჯო მოქცევებში, რომ მაყურებლის გულსა და გონებას ვეღარ მიწვდებოდა და მთელი კომედიის შედეგათ ცალიერი სიცილისა და მხიარულების მეტი თითქმის აღარაფერი დარჩებოდა. „ზნეობის სიმრუდის“ გამოყვანა კიდევ რომ მისწოდებოდა მაყურებლის გულს, მაინც ვერ აატაკებდა მას, მაინც ვერ ჩააფიქრებდა, ვერ შეაზიზღებდა მაყურებელს მის ცხოვრებას, რადგანაც ღრმა ფსიხოლოგიური ანალიზი, მწარე, გესლიანი სიცილის აღძრა გ. ერისთავის ნიჭის თვისებას არ შეადგენენ. ეს კაცი დაუფასებელია ჩვენთვის, სამარადისოთ სახსოვარი და სადიდებელი ჩვენგან, როგორც მამა ჩვენი თეატრის და ჩვენი დრამატული ლიტერატურის, მაგრამ მისი კომედიები უფრო ეოდევილებს წარმოადგენენ, ვიდრე ნამდვილ კომედიებს. რა ღირსებისაც უნდა იყოს მისი კომედიები, ისინი მაინც განძს შეადგენენ ჩვენ ლიტერატურაში, როგორც პირველი წარმოებნი დრამატული ხელოვნებისა; ვარდა ამისა ამ კაცის დასაუფასებლათ ისიც უნდა მივილოთ მხედველობაში, რომ დღემდის ჩვენ ცხოვრებას გ. ერისთავზე უკეთესი კომედიების მწერალი არ მოუცია; თითქმის ყველა ჩვენი კომედიები, რაც ამ ორმოც და ათი წლის განმავლობაში დაიწერა, გ. ერისთავის ან კობია არიან, ან მათი ზეგავლენით წარმოშობილან. ამ გვარათ ჩვენი თეატრი პირველ ხანებში

უფრო გასართობი იყო, ვიდრე საზოგადოების განმწიფებელი, გონების მწერთელი და ზნეობის განმამყარებელი. ამის მიზეზი იყო ერთი მხრივ ჩვენი საზოგადოებრივი განვითარების ძალიან დაბალ საფეხურზე დგომა, მეორე მხრივ გიორგი ერისთავის ნიჭი, რომელსაც მხოლოდ გარეგნულათ და ოხუნჯურათ შეეძლო ცხოვრების ხატვა. გიორგი ერისთავის შემდეგ მაშინდელ დრამატურგებში ყველაზე ნიჭიერი იყო ანტონოვი, მაგრამ მის კომედიებს ხომ უფრო არ შეეძლო ცხოვრების ღრმით გაღმომლა, მაყურებელთა გონებრივით და ზნეობრივით წრთენა. გასართობი დაწესებულებების სახე ჩვენმა თეატრმა ოცი წელიწადი ატარა. სამოცდაათ წლებში ჩვენმა ცხოვრებამ შესამჩნევი ბიჯი წადგა წინ; განათლებული და განვითარებული გონების პატრონი ახალგაზდები ბლომათ გამოკრიგენ ცხოვრებაში; ჩვენი მწერლობა აყვავდა: ოცი წლის წინეთ თუ ერთმა „ცისკარ“ — მაც ვერ იფორჯალა და მხოლოდ „მურაბისა და ქელეს გაკეთება“ და „ბატი ძმრით“ შესაწავლა ქართველ საზოგადოებას. სამოცდაათი წლის დასაწყისში ქართულ ენაზე გამოდიოდა: „დროება“, „სასოფლო გაზეთი“, „ქრებული“ და „მნათობი“. შედგა სხვა-და-სხვა ლიტერატურული წრეები, დაიბადა სხვა-და-სხვა მიმართულება, ამან გამოიწვია კრიტიკის აღორძინება და განვითარება. საზოგადოების გამოფხიზლებას და ლიტერატურის განვითარებას ის შედეგი მოჰყვა, რომ გასართობმა თეატრმა ვეღარაფერ ვეღარ დააკმაყოფილა და ხელი მიჰყვეს რუსეთისა და ევროპის დრამატურგების თარგმნას. გაჩნდნ ორიგინალური დრამატურგებიც, რომლებიც მარტო ლათაიებით არა ცდილობდნ საზოგადოების შექცევას: გ. წერეთლის „ჯიბრი“ 72 წ. დაიწერა. როდესაც საზოგადოებამ შეიგნო ჭეშმარიტი თეატრის ნამდვილი მნიშვნელობა, მაშინდელი საუკეთესო პირების შრომით კიდევ დაარსდა ჩვენში სამუდამო სცენა, 5 სექტემბერს 79 წ. ამგვარათ 70 წლამდე ქართული თეატრი უმთავრესათ გასართობი იყო; ის მხოლოდ სიყვარულს უღვიძებდა საზოგადოებას თეატრისადმი, ნიადგს უმზადებდა ხალხის აღმზრდელ თეატრს, თვითონ კი აღმზრდლობითა მნიშვნელობა არა ჰქონდა. შემდეგი თი წლის განმავლობაში თეატრა ცდილობს გასართობ გზას თავი დაანებოს და საზოგადოების განვითარებას შეუწყოს ხელი, მაგრამ მუდმივი სცენა არ არსებობდა და წელიწადში ორი სამი წარმოდგენა დიდ ნაყოფს ვერ მოიტანდა. თავის ჭეშმარიტ კალაპოტში ჩვენი თეატრი მხოლოდ მეოთხმოცე წლებში ჩადგა და მას აქეთ შეუჩერებლათ იღებს მონაწილეობას ჩვენი ქრის გონებრივსა და ზნეობრივ წინმსვლელობაში. ჩვენ სცენაზე დღეს ბევრი ისეთი ნიჭიერი მსახიობია, რომ მათ შეუძლიათ საუკეთესო ევროპული სცენაც დააშენონ. საშუაბაროთ ამასვე ვერ ვიტყვით ჩვენი დრამატურგების შესახებ. ჩვენ დრამატულ მწერლობაში ორი ხანა არის აღსანიშნავი; პირველი ხანა დაიწყო გ. ერისთავის კომედიებით, მეორე ხანა მეოთხმოცე წლებში დაეთ ერისთავის



„სამშობლო“-თი. ყველა კომედია, რომელიც ქართულ ენაზე დაიწერა, გიორგი ერისთავის კომედიების კაპიოებია; ყველა გარეგნულათ ხატავს ცხოვრებას, ყველა ცდილობს სიცილი გამოიწვიოს ოხუნჯობით, მიქცეულ-მოქცეული სიტყვებით და არა მოქმედების განვითარებით და ხასიათთა კონტრასტებით; ყოველივე ეს კი არ შეადგენს კომედიის დამახასიათებელ თვისებებს,— ასე რომ ნამდვილი კომედია ქართულ დრამატიულ ხელოვნებას ჯერ არ შეუქმნია. ყველა დრამა, რომელიც მეოთხმოცე წლებს აქვთ დაწერილა, დ. ერისთავის „სამშობლოს“ ზეგავლენის ნაყოფია. თუ ასეთი დრამები საზოგადოებაზე შთაბეჭდილებას ახდენს, უფრო პატრიოტული გრძნობის ბრალია, ვიდრე დრამების ღირსების. რადგანაც ორიგინალური პიესები ცოტა მოგვეპოვებოდა და, რაც იყო, უმეტესი ნაწილი ძალიან სუსტი იყო, ამიტომ ჩვენი მწერლობა იძულებული იყო, უცხო დრამატურგები ეთარგმნა, და ამ მხრით ჩვენმა სცენამ და ლიტერატურამ ძალიან ბევრი შეიძინა. შეუძლებელია იმის გამოკერძობა, რაც მართლ თეატრმა გააკეთა ამდროს განმავლობაში; ხოლო თუ რამემ შეუწყო ხელი ჩვენი საზოგადოების გამოფხიზლებას, ცხოვრების წინმსვლელობას, ჩვენ თეატრსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის ამ მხრით. შემდეგში, როცა ცხოვრება უფრო გამოირკვევა და ის განსახოგნებელი კლასები, რომლებმაც ჩვენში თავი იჩინეს, დასრულებულ სახეს მიიღებენ, თეატრი უფრო მეტ სარგებლობას მოიტანს, რადგანაც ეცოდინება, ვის ამხილავს და ვისი ინტერესები დაცვას. ამ ორმოცდაათი წლის განმავლობაში, როგორც აღმოჩნდა დრამატიული საზოგადოების გამგეობის მოხსენებიდან, თფილისის სცენაზე წარმოუდგენიათ სულ 219 პიესა, რომელთაგან კომედიები და ვოდვეილებია 139, დრამა და ტრაგედიები 80. ამათში უმეტესი წილი თარგმანია, ორიგინალური მხოლოდ 85 პიესა 50 კომედია-ვოდვეილები და 35 დრამები. ამ გვარათ ჩვენი ორიგინალური რეპერტუარი არ ყოფილა მაინცა და მაინც ღარიბი, თუმცა არც სიმდიდრე ეთქმის. ჩვენ დრამატურგებს უფრო კომედია-ვოდვეილების თხზვაში გამოუჩენიათ ნიჭი. სამწუხაროთ კომედიებში ძალიან ცოტა არის ისეთი, რომ ამართლებდეს თავის სახელს; უმეტესი წილი უფრო ვოდვეილსა ჰგავს, ვერ აჩვენებს მაყურებელს ჩვენი ცხოვრებისა და ბუნების გასაკიცხ თვისებებს, ვერ ჩაფიქრებს მას, ვერ დაუბადავს მას სურვილს ცხოვრებისა და თავისი თავის გაუმჯობესებისას. ვოდვეილები ხომ პირდაპირ სიცილისათვის არიან დაწერილი. რაც შეეხება ტრაგედიებსა და დრამებს, უმეტესი ნაწილი წარსულ ცხოვრებას ხატავს, პატრიოტულ თავმოყვარეობას გვიტკბოძს, გაუმარჯოს სამშობლოსო, წამოგვაძახებებს და მეტი არაფერი: თეატრიდან რომ გამოვალთ, ყოველისფერი ნიავს გაჰყვება! ისეთ დრამებს, რომლებიც წარსული გვირობის და თავგანწირვის მეტს არას უხატავს მაყურებელს, დღეს ნაკლები მნიშვნელობა აქვთ. თუ ერთი მხრივ ჩვენ დრამატიულ ხელო-

ვნებას ზერელი შინაარსის კომედია-ვოდვეილები მეტი მოუტია ჩვენთვის და დრამების სახეობის მხოლოდ წარსული ცხოვრება, ძველი გმირების სიფაქცე დაუსახავს, ამის მიზეზი თვით ჩვენი ცხოვრება იყო. ლიტერატურა შეიღია თავისი ეპოქის, გამომხატველია ერის ფსიხოლოგიის, კომპასია საზოგადოებრივი განვითარების და ამიტომ თავისი დროის ელფერს ატარებს. რადგანაც ჩვენი საზოგადოების ცხოვრება თეატრის დარსების დროს მეტათ ფუქსავატი იყო, გონებრივი მოძრაობა თითქმის სრულიად არ არსებობდა, საზოგადოება მხოლოდ სიცილ-ხარხარისათვის მიდიოდა თეატრში, ამიტომ გასაკვირალიც არ არის, თუ დრამატურგებმა უფრო ვოდვეილებსა და ზერელი შინაარსის კომედიების თხზვას მიჰყვეს ხელი. გადაიკახეთ გ. ერისთავის კომედიები და დარწმუნდებით, რომ ის კაციც კი, რომელიც თეატრით საზოგადოების აღზრდას ეპირებოდა, ნამეტანს ცდილობდა, რომ ოხუნჯობით და ლათაიებით საზოგადოება ემხიარულებია. რაც შეეხება წარსულ ცხოვრებას, მას ხომ ოხენახენეშით იგონებდა ჩვენი არისტოკრატია; ამ ხენეშის მიზეზი უანგარო მამულის სიყვარული კი არ ყოფილა, — ეს იყო იმ ძალ-მომარეობის, უკანონობის, ხალხის ყვდიფის—ერთი სიტყვით პოლიტიკური ბატონობას გაუქმების გლოვა, რისი უფლებაც მეცხრამეტე საუკუნეში ჩვენმა თავადობამ დაკარგა. ახალთაობა და მწერლობა არისტოკრატის გლოვამ გაიტაცა; არისტოკრატის კლასისკური ინტერესებისათვის გოდებამ დაბადა ჩვენ ლიტერატურაში რომანტიულ—პატრიოტული მიმართულება, ამანვე გამოიწვია ის დრამები, რომლებიც წარსულ გმირთა ხმალ-ხანჯლის ტრიალის მეტს არას იძლევიან. დღეს არისტოკრატამ და მისმა ქარაფშუთა ცხოვრებამ უპირატესობა დაკარგა ჩვენ ცხოვრებაში. დღეს მართლ არისტოკრატის ინტერესები საზოგადო ყურადღებას აღარ იპყრობს; მათ ალავს იჭერს მთელი ერის ინტერესები, მთელი ერის აწყო და მომავალი და არა ერთი რომელიმე წოდების: ასე მოითხოვა ჩვენი ცხოვრების წინმსვლელობამ. თუ ცხოვრებამ იცვალა ფერი, თეატრმაც უსათუოთ უნდა იცვალოს. თუ ის ერთ დროს აკმაყოფილებდა ჩვენ საზოგადოებას უშინაარსო კომედიებითა და ხმალ-ხანჯლის ტრიალის ცქერით, ასეთი პიესებით დღეს ბევრს ვეღარ დააკმაყოფილებს რასაკვირველია, ჩვენი საზოგადოებრივი განვითარება აღრე თუ გვიან მიცემს ჩვენ ცხოვრებას დროის შესაფერ დრამატურგს, მაგრამ, სანამ ნიჭიერი კაცი დაიბადებოდეს და სცენას გარდაქმნიდეს, თვითონ სცენა უნდა ცდილობდეს დროის შესაფერი სახე მიიღოს. ჩვენი დღევანდელი სცენის შესახებ კი ამას ვერ ვიტყვიო. როდესაც დღევანდელმა საქირობოროტო სოციალურმა კითხვებმა დიდხანია თავი იჩინეს ჩვენ ლიტერატურაში, როდესაც სოციალური კლასების აღორძინება ჩვენ ცხოვრებაში ყველასათვის ცხადია და ლიტერატურაც ვეღარ მალავს ამ მოვლენას, ჩვენი სცენა ჯერჯერობით ყურსაც არ იბერტყავს: ის ისევე ძველი არისტოკრატის შექცევას

ცდილობს. თუ კი ჩვენი დრამატურგები არ იღებენ ან ვერ იღებენ დღევანდელი ცხოვრებიდან პიესისათვის ტემას, სცენამ რა მოაგვაროსო, იტყვის ზოგიერთი მკითხველი. აი რა უნდა მოაგვაროს: სხვა ერსაც გაუფლია ისეთი ხანა, როგორიც დღეს ჩვენშია, სხვა ერსაც ჰყოლია ასეთი ხანის შესაფერი ნიჭიერი დრამატურგები. მართა ნაციონალური დრამატურგებით არც ერთი სცენა არ იკვებება და ჩვენსად დაგვებადგება იმდენი დრამატურგები, რომ მართა მათ დაკმაყოფილონ ჩვენი სცენა? აი ამ უცხო მწერლებს უნდა მიაქციოს ჩვენმა სცენამ ყურადღება და თარგმნოს ისეთი პიესები, რომლებიც უფრო შეეფერება იმ დღევანდელ ჩვენს ცხოვრებას, რომლებიც უფრო მეტ მასალას მიცემენ დღევანდელი ქართველის გულსა და გონებას. ამ გზას უნდა დაადგეს ჩვენი სცენა, თუ უნდა საზოგადოებრივ წინმსვლელობაში თავისი წვლილი შეიტანოს და არ გადიქცეს მართა გასართობ დაწესებულებათ, როგორიც ის ამ ოცდა ხუთი წლის წინეთ იყო.

აგ. გამაჩთქლია.

შუბლის კანის ნაამბობი.

(მოთხრობა)

მოგვხსენებთ, ბატონებო, რომ მე ძლიერ თვალსაჩინო ალაგზე ვარ გამოქვიშული, სწორეთ თავის იმ ნაწილზე, რომელიც ყველაზე უწინ ეჩხირება კაცს თვალში. ამიტომ თითქმის არაფისგან აღარ ვერჩები შეუმჩნეველი! და ან კი როგორ უნდა დავჩივო, როცა მე ჩემ ადგილზე ისეთსავე როლს ვთამაშობ, როგორსაც მალაზის წინ გამოფენილი ფიცარი, რომელზედაც აწერია, რა და რა საქონელი ძვეს მალაზიაში. დიაღ, სწორეთ ასეთი გამოჩენილი ალაგი მიჭირავს და დანიშნულებაც შესანიშნავი მაქვს! და, სწორე მოგახსენოთ, მართალი უთქვამს, ვინცა თქვა, კაცს შუბლში შეჭნედ და იმას უკან რა ძვეს, იქ წაიკითხავო. სრული ჭეშმარიტებაა! ნაფიქრალ-განზრახულის გამოძაპკარავებელი სწორეთ მე გახლავარ! აბა დამაკვირდით, რომ ხანდახან საშინლათ შევიჭმუნებები ხოლმე რისხვისა და წყრომის გამო-სანატრავთ და საცოდავთ დავიღარები ფიქრისა და დარდის დროს; ხოლო სიხარულზე კი როგორ გატკრივალელებული ვეღვარებ!.. ჰა!.. უკაცრავათ, დამავიწყდა, რომ მე მყავს ერთი მუღმივი და განუყრელი თანაშემწე, ურომლისოთაც მე სწორეთ უსიცოცხლო ქალამნის ჯღანი ვიქნებოდ; — ეს საუცხოვო მეგობარი და თანაშემწე ჩემი გახლავთ ჩემივე მესაიდუმლე, რომელსაც „შუბლის ძარღვს“ ვძახიან. უმი-სოთ მე სწორეთ არა რა ვიქნებოდი. ის, თუ გნებავთ, საარაკო ტელეგრაფის მართულია, რომელიც კაცის შინაგან მოძრაობას — სასიხარულოს თუ სამწუხაროს, სასიქადულოს თუ სამარცხენიას — ცხად-ჰყოფს, სიბნელიდან სინათლეში გადმოიტანს და ამ სახით ქვეყანაზე ერთს, შეიძლება უმნიშვნელოს, მარა მაინც ახალ ამბავს გამოამხევეს.

აღრევე როცა ქვეყნიერება 19 თუ 20 წლის გაცნობილი მყავდა, როცა გომნაზიის უკანასკნელი კურსიდან გარეთ გამოვიხედე, მთელი თავი ათას გეარკეთილშობილური აზრებით იყო საცხე და გულიც თანაუგრძობდა. ნამეტნავათ ჰფიქრობდა იგი დაჩაგრულთა და უმწყოთა მდგომარეობაზე, ადამიანებში ძალ-მომრეობის შემცირებაზე და ძმური განწყობილების დამყარებაზე, — ერთი სიტყვით, სურდა მთელი თავისი ძალღონე მამულის სასარგებლოთ და მოძმეთა საკეთილდღეოთ შეეწირა. ამავების შესასრულებლოთ, მოგვხსენებთ, კანონების შესწავლაა საჭირო და თავიც მიისწრაფოდა ჩრდილოეთისკენ თავის დიპლომით, სადაც მთელი მ-სი გონებრივი აელადიდება ციფრებით იყო გამოანგარიშებული. მიისწრაფოდა გულიც, როგორც გრძნობების მორევი, სიხარულით ბუდიდან ხტებოდა. დროც დადგა და ერთ შევნიერ დღეს, კარგა ხნის მგზავრობას შემდეგ, ჩრდილოეთის ბურუსმა შემომკრა. ცოტა არ იყოს, მეგრილა, მარა რას ვიზამდი? ჩრდილოეთში თავმა მოძებნა ადგილი და შეცურა მეცნიერების მორევეში, რომ შემდეგ უფრო დაუბრკოლებლოე და გაბედულათ ემოქმედნა. რამდენსამე წელს შემდეგ თავი აღიჭურვა საჭურველითა მეცნიერებისათა მეც რაღაც სხვანაირი, როგორც მეცნიერს შეჭფერის, გამომეტყველება მივიღე და დაებრუნდი სამშობლოში, რომლის თვითმა ნიავემა პირველ მოალერსებისთანავე ჩრდილოეთის ნისლი და ბურუსი გადამფერათქვენ აქ სხვა არა იფიქროთ რა!.. ეს ისე, სხვათა შორის... ჯერ, რასაკვარველია, ჩვენიანები ვნახეთ; მოხუცებული მამა აღტაცებით მომეწარდა და ზედ შუა ალაგას მაკოცა. დედამ კი იდენი მხრისა ხელით რომ კიდევ გაეწითლდი!.. მისალმება და მიკითხვ-მოკითხვა, რასაკვირველია, დასრულდა და ახლა თავისთვის საჭირო შეიქნა საქმისთვის მოეკიდნა ხელი, იმ საქმისთვის, რომლის სიყვარულმა და მისმა საზოგადოებისთვის საოცნებო შედეგებმა იგი ჩრდილოეთში გაიტაცეს.

პირველ ყოვლისა ვაზეთებმა აუწყეს სამშობლოს სასარგებლო კაცის ჩამოსვლა: „ახალი გეკიდი № №—ქე №—ქე ქ. ქ—ში, ქუჩას შესხვევში, სახლი № 000. თვით ხსენებულ ქალაქშიაც ამავე საგანზე აფიშები იქმნა გაკრული; ეს ცნობის ფურცლები თავის განკარგულებით სოფლებშიაც დარიგდა და მალეც ყოველ მხრიდან დაიწყო სიარული, გაჩაღდა საქმე. თავმა დაიწყო მოქმედება, მოქმედება მკვირცხლი, ენერგიული და მიუღვამელი. საქმეები ჩინებულათ მიდიოდა, ჯერ ჯერობით არც ერთი ჩვენი კლიენტის სასამართლოში არ გამტყუნებულა, მე სიხარულით სულ ეტკრივალელებდი, მოქმუხენილი არავის ვუწახვევარ და გულიც ბანს მაძღვედა. ჯერ-ჯერობით, როგორც მოგახსენეთ, საქმე კარგათ წავიდა, ე. ი. ისე, როგორც თავი ჰფიქრობდა, რადგანაც ისეთ კაცს, რომელიც მტყუანი იყო, თავი ხელს არ ჰკიდებდა და ამით დაჩაგრულმა მხარემ ცოტა გაიმარჯვა. მარა, დალახვროს ლმერთმა, ხანი მიდიოდა და თავს ცხოვრების მოთხოვნილებები გაუფართოვდა,

მაგ., კუჭი სულ განზე გაწევის თხოვლობდა და მას ხომ განზე გასაწევი მასალები ესაქიროებოდა! ამასთანავე შემსწვილებულ კუჭს, მოგეხსენებათ, ტანისამოსაც მეტი ზოლის დაჭირდებოდა და ამებს კი მუქათათ არაფერ იძლეოდა. ფული იყო საჭირო: და ფულის საჭირო რაოდენობა საიდან უნდა შემოსულიყო, როცა თავი მხოლოდ მართალი კაცების საქმეებზე ჰქვიდებოდა ხელს და ეს მართალ კაცთა რიცხვი საზოგადოთ ქვეყანაზე და, რასაკვირველია, ჩვენშიაც ძირიელ მცირეა; აქედან ფულის შემოსავალიც მცირე იყო. საჭირო შეიქნა „სხვა ნაირი“ საშუალებას გამოძებნა და ამ საშუალებასაც არ დაიკვირანა, — ერთ შეწიერ ღღეს ერთი ვინმე ეწვია ბატონ თავს; თავის საქმის გარემოება დაწერილებით მოახსენა და მოხსენებას შემდეგ, გამომშვიდობების დროს, ნამალევათ რაღაცა ჩაუღვა ხელში, თანაც ჩაულაპარაკა: „თქვე დალოცვილო, არც აგრე ცალ-მხრობა ვარგა! სარწმუნოთ მივახსენებთ, რომ მომდურავეები გაგიჩნდნენ და მათ შორის პირველი მე ვარ! ჩემისთანა კაცებიც უნდა დაიფარო, თერა თუ ჩვენ ყველას ციმბირში ამოგვყოფინეს თავი, ისედაც რიცხვით მცირე ქართველობა კიდევ უფრო შემცირდება, რადგანაც ჩვენ უმეტესობას შევადგენთ... სწორე მოგახსენოთ, იმ „რალაცას“ ხელში ჩადებაზე მე, თქვენს უმორჩილეს მონას, ისეთმა ალმა გადამკრა და სირცხვილის ოფლი აქა-იქა ცვარათ დამასკუბდა, რომ ეს არ დამმართნია მგონი მაშინაც კი, როცა ღვდელმა ემბაზიდან გამხოლოდ-შობილებული ამომიყვანა და მირიანი მცხო. — გული დაჩაგრული მხარისკენ იწევიდა, მარა გონება კი, ე. ი. თავი, სულ სხვაფრიე აზრობდა: „მე ხომ გადაწყეტიტე საზოგადოებისთვის და მამულისთვის შემეწირა ჩენი ძალ-ღონე და მეგ როგორ მოგწონთ: მომდურავეები გაგიჩნდნო, ქართველობა შემცირდება... და ეს როგორი მამულის სიყვარულია? ამასთანავე მეც ფული მინდა, რადგანაც თუ თავი არ ვიპატიე, საზოგადოებისთვის შესაწირავეი ძალ-ღონე გამომკლევა და რალა შეეწირო? ვილას მოგეხმარო?.. ეს ხომ სამშობლოს ღალატია, ეს ხომ პროკრამის უარის ყოფაა!.. სწორეთ ჯობს — ეს და ამისთანა შემთხვევები ხელიდან არ გავუშვაო“, და აკენა ლოლიკის კოლოფმა და ხელებს უბრძანა, რომ ის „რალაცა“ ჯობისკენ გამგზავრებია. სწორეთ ამ დროს რალაცა იყო, მგონი იმ საშინელი ლოლიკის მათრახი მომხედა ცივათ, მეც გამაგრილა და ის ჩემი მესაიდუმლე შეგობარიც შუაზე გაწყეიტა! — „თხა თხას იცნობსო“, ნათქვამია და იმ პატიოსანმა კაცმა ეს შემთხვევა უამბო თავის ამქარს. ამ დღიდან თითქმის ყოველ ღღე მოდიოდა და მოდის ბ. თავთან კუჭის გასაწევი მასალები, — ძღვენფეშქაშებო, ბრჭყეილა ლითონები და სხვანი, მარა ამავების „მიღებაზე“ მე აღარას ვგრძნობ იმისთანას, რასაც ჩემი ძველებურათ გაწითლება შეეძლოს. პირ-

იქით, ეს მე კიდევ მიხდება: უწინ რომ ზედ ძველზე ვიყავი დამკვლარი, ღღეს ძელსა და ჩემს მუქათათის სისქე ქონი ძვეს!... და ახლა ისიც კი მაკვირვებს, თუ რა უცნაურმა შემთხვევამ მომამგონა ღღეს ჩემგან უარყოფილი უწინდელი ჩემი საჯალი გზა და თვისებები!...

დ. თამაშკილი.

Открыта подписка на 1900 годъ на еженедельный иллюстрированный журналъ

# ПРИРОДА

И

Изданіе П. П. Сойкина, въ СПб.

## ЛЮДИ

Подписной годъ начинается съ 1 Ноября.

XI-й г. изданія.

**52** ИЛЛЮСТРИРОВАН. №№ въ которыхъ будутъ помѣщаться всѣ выдающіяся событія міра, очерки и рассказы изъ исторіи науки, путешествій и изобрѣтѣній, романы и повѣсти съ массою иллюстр.

**12** БЕЗПЛАТНО иллюстрированныхъ выпусковъ **ВСЕМИРНЫЙ ПУТЕШЕСТВЕННИКЪ**

**12** КРОМЪ ТОГО, томъ сочиненій подъ общимъ заглавіемъ **„БИБЛИОТЕКА РОМАНОВЪ“** (ПРИКЛЮЧЕНІЯ НА СУШѢ И НА МОРѢ)

**3** ТОМА Фалькенгорста **Африканскій кожаный чулокъ** Т. I. Нѣжи сердце. II. Танганайскій левъ. III. Корсаръ пустыни. **томовъ собранія сочиненій А. ЛОРИ:** Томъ 1) Напитанъ Трафальгаръ. 2) Радамехскій нарликъ. 3) Изгнанники земли. 4) Искатели золота. 5) Атлантида. 6) Рубинъ Великаго Ламы. 7) Тайна Мага. 8) Черезъ океанъ. 9) Наслѣдникъ Робинзона.

**5** Подписная цѣна за годъ **РУБ.** безъ доставки въ СПб., съ доставкой въ СПб. и перес. по всей Россіи **ШЕСТЬ** рублей. **ДОПУСКАЕТСЯ РАЗОРОЧКА.** Адресъ редакціи: С.-ПЕТЕРБУРГЪ, Стремянная, 12, собств. д.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.